

**მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა. მასალები**  
**ÖSTERREICHISCHE LYRIK DES 20. JAHRHUNDERTS. MATERIALIEN**



**ტომი XI**  
**BAND XI**



**თბილისი**  
**2011**

## პაუზი გვეყავს

## შავი ფიჭვები

თოვლი მოვიდა, უსინათლო. თვეა უკვე ერთი თუ  
ორი, ბერის კაბაში გახვეულმა შემოდგომამ,  
უკრაინის ფერღობებიდან, მეც მომიტანა ფურცლით უწყება:

"წარმოიდგინე, აქაც ზამთრდება, ეს – მეათასედ,  
მხარეში, სადაც უფართოესი დინება მოდის:  
სისხლი, ნაკურთხი ნაჯახებით, იაკობის ციური სისხლი...  
ო, სიალისფრის ყინული არაამქვეყნიური – ჰეტმანი რომ  
გადალახავს  
თავის ალალით, დაბნელებულ მზეთაქვეშეთში... ოჰ, შვილო,  
ენატრობ მხოლოდ თავსაფარს,  
გავეხვეოდი, ჩაჩქანები როცა ელავენ,  
როცა ჩამესმის ვარდისფერი ხორგის ჭრიალი, თოვლის  
მტკერივით გაიფანტება როცა ჩონჩხი  
მამაშენისა, ფლოქვით თელილი  
მღერა კედარზე...  
თავსაფარი, მხოლოდ ციცქნა თავსაფარი, რომ გავუფრთხილდე  
ამიერიდან, რაკილა უკვე ტირილს სწავლობ, ჩემივე გვერდით  
სივიწროვეს ამ სამყაროსას, რომელიც აღარ ამწვანდება, ჩემო  
შვილო, შენი შვილისთვის!"

სისხლად მდიოდა შემოდგომა, დედაჩემო, და თოვლი მწვავდა:  
ჩემს გულს ვეძებდი, რომ ეტირა... ვპოვებდი სუნთქვას, ოჰ,  
ზაფხულისას,  
ის სულ შენ გგავდა.  
მე ავტირდი. ვქსოვდი თავსაფარს.

\* \* \*

ამაოდ ხატავ სარკმელზე გულებს:

იქ, ქვემოთ, უკვე სასახლის ეზო ჯარისკაცებით მოუვსია  
სიჩუმის ჰერცოგს.

ხეზე აღმართავს თავის ალამს – ფოთოლს, რომელიც  
ულურჯდება შემოდგომაზე;  
ის თავის ლაშქარს უნაწილებს სევდის წველს და დროის  
ყვაკვილებს;  
თმამოჩიბული, ქარქაშში ხმლების ჩასაგებად მიემართება.

ამაოდ ხატავ სარკმელზე გულებს: აღარ ჩანს ღმერთი,  
ჯარისკაცებს შორის ჩამდგარა,  
იმ მაზარაში გახვეულა, ერთ დროს, ღამით, კიბეზე რომ  
ჩამოსწყდა შენს მხრებს,  
ერთ დროს, სასახლე რომ აბრიალდა, როცა წარმოსთქვი,  
როგორც ყველამ: ჩემო ძვირფასო...

აღარ ეცნობა უკვე მაზარა და ვარსკვლავებსაც აღარ მოუხმობს  
და მოფრიალე ფოთლისაკენ აჩქარებულა.

"ო, წველი", ნატრობს გაიგონოს, "დროის ყვაკვილი".

## მარიანა

უიასამნოდ დაშთა შენი თმა და სარკესავით გაიყინა შენი იერი.  
თვალით თვალამდე ღრუბელია გაწევილი, როგორც სოდომი  
ბაბილონამდე;  
ის კოშკს ჩამოშლის, როგორც ფოთლეულს, გოგირდის ბუჩქის  
ირგვლივ ბობოქრობს.

ელვა აცხრება მერე შენს ბაგეს – ქვაბურს, რომელიც ვიოლინოს  
ნარჩენებით ამოვსებულა.  
ხემაზე სრიალებს თოვლით ფენილი კბილი მავანის: ო, ლერწმის  
ღერო რა ტკბილად ჟღერდა!

ძვირფასო, შენც ხომ ლერწამი ხარ, ჩვენ კი – წვიმები;  
ღვინოს – შენს სხეულს შეუდარებელს – ვეწაფებით  
დაურწყულებლივ;  
პურის ყანაში ნავს – შენს გულს – ღამის მიმართულებით  
მივასრიალებთ;  
შენ, ლურჯი ტოლჩა, თავს მსუბუქად გადაგვევლები, და ძილს  
ვეძლევიტ...

მერე კარვის წინ ასეული წამოიშლება, და სამარისკენ  
მივასვენებთ სმით და მოლხენით.  
სიზმრების მტკიცე ტალერია, ამ სამყაროს ქვაფილებზე რომ  
წკრიალებს ამიერიდან.

## ქონის სანთელი

ბერებმა წიგნი გადაშალეს თმიან თითებით: სექტემბერია.

აწ იაზონი მოწეულ ნათესს თოვლის საფარს გადააფარებს.

შენ ტყემ ხელების ყელსაბამი გამოგიწოდა, და მიაბიჯებ ბაგირზე,  
მკვდარი.

ბნელი სიღურჯე ერგება წილად შენს თმას, ხოლო მე

სიყვარულის შესახებ ვყვები.

ნიჟარებს ვყვები, მსუბუქ ღრუბლებს, და წვიმაში ყვავილობს

ნავი.

გადაუქროლებს მფურცლავ თითებს კვიცი-ულაყი –

შავად იღება კარი, მე ვიმღერ:

ჩვენ აქ დღემდე როგორ ვიცხოვრეთ?

\* \* \*

დრო-ჟამით ხელებმოვსებული, აი, როგორი მოხვედი ჩემთან –  
მე ვთქვი: შენ არ გაქვს წაბლისფერი თმა.  
შენ ის მსუბუქად აასვენე ღარდის სასწორზე, სადაც ის ჩემზე  
მძიმე აღმოჩნდა...

ისინი შენსკენ გემებით დიან, ტვირთავენ შენს თმას და  
სურვილის ბაზრობებზე სავაჭროდ მიაქვთ –  
შენ მე ქვევიდან ამომღიმებ, მე პინიდან ჩამოგტირებ, მსუბუქად  
რომ ატაცებულა.  
მე ვტირი: არ გაქვს წაბლისფერი თმა, ისინი ზღვის წყალს  
გთავაზობენ, შენ კი მათ შენივ კულულებს აძლევ...  
შენ ჩურჩულებ: ისინი უკვე ამ სამყაროს ჩემით ავსებენ, და მე  
შენს გულში ვრჩები ღარტაფად.  
ამბობ: საშენოდ მიითვალე ფოთლეული წელიწადების – მოხვიდე  
და მეამბორო, სწორედაც დროა!

წაბლისფერია ფოთლეული წელიწადების, შენი თმა – არა.

## შუალამე

შუალამე. სიზმრის ხანჯლებით შეკინძული მკვესავ თვალეში.  
არ დაიყვირო ტკივილისგან: ღრუბლები, როგორც თავსაფრები,  
მიფარფარებენ.

ბნელით ბნელამდე ცეკვის ჟინით, ის ჩვენს შორის განეფინა  
აბრეშუმის ხალიჩასავით.

შავი ფლეიტა გამოგვიჭრეს ცოცხალი ხისგან, და, აი, უკვე  
მოცეკვავე ქალიც გამოჩნდა.

ზღვის ქაფით დართულ თითებს ძირავს იგი ჩვენს თვალში:

აქ ვინმეს კიდევ სურს, რომ იტიროს?

არავის. ასე ბზრიალებს იგი, გაღაღებული, და ცეცხლოვანი  
დაფდაფია, ხმას რომ იმაღლებს.

რგოლებსაც გვიგდებს, ჩვენ ხანჯლებზე ვაცვამთ ამ რგოლებს.

ნუთუ, ის ასე შეგვაუღლებს? ნამსხვრევებივით გაიჟღერებს, და  
კვლავ ვიცი ამიერიდან:

არ მოუკლიხარ

ბაღბისფერ სიკვდილს.



\* \* \*

თეთრად მოგიჩანს ბნელში ტანი, ხეო ვერხვისა.  
დედაჩემის თმა თეთრად აღარ შეიფერება.

ხარობს სინათლე, უკრაინა ამწვანებულა.  
შინდაბრუნებას ვეღარ შეძლებს მზისფერი დედა.

რატომ ყოვნდები წყაროსთვალთან, წვიმის ღრუბელო?  
ჩემად რომ ტირის იქ ყველასთვის, დედაჩემია.

ოქროვან მარყუჟს შემოიქსოვ, მრგვალო ვარსკვლავო.  
დედაჩემის გულს მოსაკლავად ესტუმრა ტყვია.

ვინ ამოგადო, მუხის კარო, ანჯამებებიდან?  
სანდომიანი დედა აღარ დამიბრუნდება.

## ქვიშა ურნებიდან

ობივით მწვანე ფერი მოსავს დავიწყების სახლს.

ქარსშეტოვებულ ყველა კართან შელურჯდება თავწაჭრილი შენი  
მელოლე.

ის ხავსისგან და სარცხვინელის მწარე თმისგან დამზადებულ  
დაფდაფს შენტვის აახმიანებს;

დაჩირქებული ფეხისთით შენს წარბს ხატავს იგი ქვიშაზე.

უფრო გრძელს ხატავს, ვიდრე იყო, და – სიწითლეს შენი  
ტუჩების.

აქ ურნებს ავსებ და გულს ინაყრებ.

\* \* \*

ღრჭიალი რკინის ქლამნებისა, საბრალობელი – ალუბლის  
ხეზე.  
ჩაფხუტებიდან შენთვის ზაფხული ამოქაფდება. გუგული, შავად  
შეფერილი,  
მის სურათს ხატავს ცის კარებზე აღმასის დეზით.

შიშველი თავი გამოუჩანს ფოთლეულში შეკიდულ მხედარს.  
მტრის ფოლადოვან სუდარაზე მილურსმული შენი ღიმილი  
მას ბუნდოვნად თავის გერბზე გამოუსახავს.  
აღთქმული იყო მისთვის ბალი მეოცნებეთა,  
და მზად უპყრია ოროლები, ვინძლო ვარდი გადაიფურჩქნოს...

თუმცაღა ჰაერს გამომსჭვალავს შეუმოსავი, ვინც უმეტეს შენი  
მსგავსია:  
გამხმარ ხელებზე მიათასმავს რკინის ქლამნებს,  
გამოიძინებს ბრძოლას და ზაფხულს. ალუბალი სისხლად  
სწორედ მისთვის იღვრება.

## ბნელი თვალი სექტიმბერში

ქვამოსხმული დრო. და ტკივილის დაღალკავეები  
ნაკადულებად ევლებიან ირგვლივ მზერას დედამიწისა,  
მთვრალი ვაშლისა, ცოდვიანი შეგონების მონაბერით  
გარუჯულისა: ლამაზია და არმოწყალე იმ თამაშისა,  
რასაც ისინი თამაშობენ ყალბადჩენილ  
ანარეკლში მისი მერმისის.

უკვე მეორედ ყვავილობს წაბლი:  
ორიონის მალაიდი უკუქცევის  
მწირადელვარე  
იმედის ნიშნად: მას მალღით უხმობს  
ცის თვალდავსილი მეგობრების  
ვარსკვლავუხვი გულმოდგინება.

სიზმრის კარებთან, შეუნიღბავი,  
უცილობლობს ეული თვალი.  
სავსებით ჰყოფნის საცოდნელად,  
რაც რამ ხდება ყოველდღიურად:  
აღმოსავლეთის სარკმელთან ღამით  
მას განცდის სუსტი  
მოგზაური გამოუჩნდება.

შენ აწობ მახვილს სისველეში მისი თვალისა.

## ქვა ზღვიდან

ჩვენი სამყაროს თეთრი გული, ჩვენივე ნებით რომ დაგვკარგეთ  
დღეს, სიძინდის ჩენჩოს ჭკნობის ჟამს:  
ჩაგვიგორდება ხელებიდან ისე მსუბუქად, როგორც გორგალი.  
ასე დაგვირჩა დასართავად ძილის ახალი, მწითური მატყლი  
ქვიშიანი სამარხიდან ჩვენი სიზმრისა:  
გული აწ აღარ, სამაგიეროდ – თავის თმა სიღრმისეული ქვისა,  
ულარიბესი მორთულობა მისი შუბლისა, რომელიც ტალღებს და  
ნიჟარებს ჩაფიქრებია.

ის, შესაძლოა, რომელიმე ქალაქის ბჭესთან, ღამისეულმა აიტაცოს  
ჰაერში ნებად,  
აღმოსავლურმა მისმა თვალმა მოუთხროს სახლზე, სადაც ჩვენ  
ვწევართ,  
ჩვენს ბაგეებზე, დაფარულზე ზღვიურ სიშავით, ჰოლანდიური  
ტიტებით მორთულ ჩვენივე თმაზე.  
ისე უპყრიათ მათ ლახვრები, როგორც ჩვენ გვეპყრა ჩვენი  
სიზმარი, თეთრი  
გული ჩვენიული სამყაროსი ასე ჩაგორდა და დაიშალა. ასე  
დაეხვა  
მის თავს ირგვლივ კულულა ნართი: მატყლი სრულიად  
უცნაური,  
ნაცვლად გულისა.

ო, ძგერა, რაიც გაჩნდა და გაქრა! სასრულეთში საბურველნი  
ქარდაქარ ფრენენ.

## საზრანბეთის ბასსენება

შენც გაიხსენე ჩემთან ერთად: პარიზის ზეცა, პარიზის დიდი  
უღროობა შემოდგომური...

საყვავილეში შევიძინეთ ჩვენ გულები სათოვლისა:

ლურჯები იყვნენ, წყალშიც ლურჯად გამოყვავილდნენ.

მოულოდნელად ჩვენს ოთახში მოვიდა წვიმა.

გვესტუმრა ჩვენი მეზობელი, Monsieur Le Songe, ჩია კაცუნა.

ბანქოს ვუსხედით, მე წავაგე თვალისგუგები;

შენ თმა მასესხე, მე წავაგე, მან ჩვენ მოგვცელა.

მერე კი კარი გაიხურა, თან გაჰყვა წვიმა.

მკვდრები ვიყავით, მაგრამ მაინც შეგვეძლო სუნთქვა.

## შეჩრდილული ქალბატონის სიმღერა

როცა მოდის და ტიტებს წყვეტს უტყვი ქალი:  
ვინ მოიგებს?

ვინ წააგებს?

სარკმელში ვინ გამოჩნდება?

და მის სახელს უწინარეს ვინ გამოთქვამს, ვინ იქნება?

არის ერთი, მას ჩემი თმა ხელთ უპყრია.

მას ჩემი თმა, როგორც მკვდარი, ხელთ უპყრია.

ხელთ უპყრია, როგორც ზეცას ეპყრა იმ წელს, სიყვარული რომ  
მეწვია.

მერე რარივ თავმომწონედ ხელთ უპყრია.

ის მოიგებს.

არ წააგებს.

არც სარკმელში გამოჩნდება.

იმ სახელის გამოთქმელი არ იქნება.

არის ერთიც, მან თვალები გამომტაცა.

მას მერე აქვს, რაც ჭიშკარი ირაზება.

თავის თითზე ბეჭდებივით წამოუცვამს.

და უპყრია ისე, როგორც ნამსხვრევები სურვილის და

საფირონის:

ის ძმა იყო უკვე ჩემი, შემოდგომა როცა იყო;

იგი დღეებს და ღამეებს ითვლის უკვე.

ის მოიგებს.

არ წააგებს.

სარკმელში არ გამოჩნდება.

იმ სახელის საბოლოოდ გამოთქმელიც ის იქნება.

არის სულ სხვა, ვინც იმას ფლობს, რაც გამოვთქვი.  
როგორც ნასკვი, ილღის ქვეშ მას უპყრია.  
ხელთ უპყრია, როგორც საათს უძძიმესი თავისი ღრო.  
მას კარდაკარ დაატარებს, არ იცილებს.

ის წააგებს.

არ მოიგებს.

ის სარკმელში გამოჩნდება.

იმ სახელის უწინარეს გამომთქმელიც ის იქნება.

მას ტიტებთან ერთად თავი წაეცლება.



## ელვა ღამისა

სხივმოკაშკაშედ ეკიდა ცეცხლი ჩემი დაისის სატრფოს  
კულულებს:  
ახლა კი მე მას უმსუბუქესი ხისგან შეჭვდილ კუბოს ვუგზავნი.  
როგორც საწოლი რომაული ჩვენი სიზმრების, ისიც ტალღებს  
აუტაციათ;  
ისიც ჩემსავით თეთრი პარიკით არის მოსილი და ლაპარაკობს  
ხმის ჩახლექამდე;  
ისე მეტყველებს, როგორც – მე, როცა გულებში შესვლის ნება  
მეძლევა.  
მან სიყვარულზე ის ფრანგული სიმღერა იცის, შემოდგომაზე  
რომ მიმღერია,  
როცა მე მწუხრის ქვეყანაში ვმოგზაურობდი და დილის მხარეს  
ვწერდი წერილებს.

გრძნობის კორომში გამოთლილი მშვენიერი ნავია კუბო.  
ერთ ღროს, შენს თვალზე ახალგაზრდა, მეც დაუშვებულვარ  
სისხლქვემდინარედ.  
ახლა კი შენ ხარ ისეთი ნორჩი, როგორც არის მარტის  
თოვლში მკვდარი ფრინველი.  
ახლა კი იგი შენ გესტუმრება და თავის ფრანგულ სიმღერას  
მღერის.  
თქვენ მსუბუქი ხართ: ჩემს გაზაფხულს თქვენ ბოლომდე  
გამოიძინებთ.

მე გახლავართ უმსუბუქესი:  
მე უცხოთა წინაშე ვიმღერ.

## წელიწადები უნით ჩამამდე

მოგეტალღება თმა კვლავ და კვლავ, როცა მე ვტირი. შენი  
თვალების სიღურჯით შლი  
სუფრას ჩვენი სიყვარულისა: ზაფხულსა და შემოდგომას შორის  
საგებელს.  
ჩვენ ვსვამთ, რაც იმან ააქაფქაფა, ვინც არ ვიყავით არც მე, არც  
შენ ან ვინმე მესამე:  
ცარიელს და უკანასკნელს ხარბად ვისრუტავთ.

ერთმანეთს ვუმზერთ სარკეებში უღრმესი ზღვისა და უმაღ  
საკვებს ვუწვდით ერთმანეთს:  
ღამე ღამეა, ალიონით იწყება და  
მე მაწვენს შენთან.

## სიშორის ქმბა

შენი თვალების თავწყაროში  
შეშლილი ზღვის მეთევზეთა ბადეები გალაღებულან.  
შენი თვალების თავწყაროში  
თავის სიტყვას ზღვა არ დალატობს.

აქ განვიშორებ  
გულს, რომელიც კაცთა შორის დავანებულა,  
ჩემს შესამოსელს და ფიცის ციალს:

უკუნში უკუნს აღმატებული, ვარ უშიშვლესი.  
მე ერთგული ვარ მხოლოდ მაშინ, როცა ვლაღატობ.  
მე შენ მაშინ ვარ, როცა მე მე ვარ.

შენი თვალების თავწყაროში  
აფრებს ვშლი და ძარცვას ვოცნებობ.

ბადეს ბადევე მოიბადებდა:  
განვიწვალებით ერთმანეთში გადახლართულნი.

შენი თვალების თავწყაროში  
ჩამომხრჩვალნი თოკს ჩამოახრჩობს.

## მთელი ცხოვრება

ლურჯი ფერი აქვთ ძილ-ღვიძილის მზეებს, ვით შენს თმას  
შეცისკრებისას.  
ისევე სწრაფად იზრდებიან, როგორც ბალახი – ჩიტის  
საფლავზე.  
მათაც იზიდავს თამაში, ჩვენ რომ ვთამაშობდით ჩვენს სიზმარში  
ვნების გემებზე.  
მათაც უხვდებათ სატევრები დროის კლდეებზე.

ხოლო ღრმა ძილის მზეებს ფერი ულურჯესი აქვთ: შენი  
კულუღი ერთხელ იყო მხოლოდ ასეთი:  
ვით ღამის ქარი, ვრჩებოდი შენი დის საშოში, გასაყიდად  
გამოტანილში;  
ჩამოშლილიყო ჩვენს თავზემთ, ხეზე, შენი თმა, შენ კი ამ დროს  
იქ არ იყავი.  
ჩვენ მთლად სამყარო ვიყავით და შენ იყავი ბუჩქი ჭიშკართან.

ხოლო მზეები სიკვდილისა თეთრნი არიან, როგორიც არის თმა  
ჩვენი ბავშვის:  
ზღვის მოქცევიდან იგი მაშინ ამოვიდა, დიუნებში კარავს რომ  
შლიდი.  
ბედნიერების დანა იშიშვლა მან ჩვენს თავზე ჩამქრალი მზერით.

## გვიან და ღრმად

ავსული, როგორც მოქარგული მეტყველება, იწყება ღამე.

ჩვენ მდუმარეთა ვაშლებს მივირთმევთ.

ვირჯებით საქმით, ნებიერად რომ ანდობენ თავ-თავის

ვარსკვლავს;

ჩვენივ ცაცხვების შემოდგომას ვახლავართ, როგორც მოფიქრალი

სიწითლე დროშის,

ცეცხლოვანი სამხრეთელი სტუმრები როგორც.

ჩვენ ახალ ადამს – ქრისტეს – ვიფიცებთ, რომ შევაუღლებთ

მტკრის მისხალს მტკვერთან,

ფრინველებს – ყარბ ფეხსაცმელთან,

წყალში ჩასულ კიბესთან – ჩვენს გულს.

ვიფიცებთ ქვიშის წმინდა ფიცით ქვეყნიერებას,

სიამოვნებით ვიფიცებთ ჩვენ მას,

უსიზმრო ძილის სახურავებზე, მაღალი ხმით ვიფიცებთ ჩვენ მას

და ვაფრიალებთ დროის ჭაღარას...

ხოლო ისინი გაჰყვირიან: სიცრუეს ამბობთ!

დიდი ხანია, ცნობილია ჩვენთვის ეს ცოდნა.

დიდი ხანია, ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ განა რა ხეირია?

თქვენ აღთქმის თეთრ ფქვილს ფქვავთ სიკვდილის თეთრ

წისქვილებში,

თქვენ ის გამოგაქვთ ჩვენი დების და ძმების თვალწინ –

ჩვენ ვაფრიალებთ დროის ჭაღარას.

თქვენ ჩვენ ჩაგვძახით: სიცრუეს ამბობთ!

ჩვენ კარგად ვიცით ეს ყველაფერი,

დაე, ჰგიებდეს ეს ბრალი ჩვენზე.

ჰგიებდეს იგი ყველა ჩვენგანზე, მოხეტიალე ყველა ნიშანზე,

დაე, ჰგებდეს ზღვა მოყაშყაშე,  
უკუქცევის ბორგნეული ქარისკვეთება,  
შუალამის დღე,  
დაე, ჰგებდეს ის, რაც დღემდე არ არსებულა!

დაე, ჰგებდეს სამარიდან აღმდგარი კაცი.

## CORONA

ჩემი ხელიდან აგემოვნებს შემოდგომა თავის ფოთლეულს: ჩვენ  
დავმეგობრდით.  
დროს ნაჭუჭისგან ვასუფთავებთ და სიარულს შევასწავლით:  
დრო ბრუნდება ნიგვზის ნაჭუჭში.

სარკეში – კვირა,  
სიზმრად სძინავთ,  
ბაგე არ ცრუობს.

ჩემი მზერა ეშვება სატროფოს სარცხვინელისკენ:  
ერთმანეთს ვუშხერთ,  
ჩვენ ერთმანეთს ბნელს ვეუბნებით,  
ჩვენ ერთმანეთი ისე გვიყვარს, ვით ყაყაჩოს და მენსიერებას,  
ჩვენ ისე გვძინავს, როგორც ღვინოს – ნიჟარებში,  
როგორც ზღვას – მთვარის სისხლის ნაკადში.

სარკელთან ვდგავართ, ერთმანეთს ვართ გადაჭდობილი, ქუჩიდან  
კი გვაცქერდებიან:  
დროა, იცოდნენ!  
დროა, დანებდეს ქვა ყვავილობას,  
ფორიაქმა აიკლოს გული.  
დროა, დრო დადგეს.

დროა.

## სიკვდილის ფუზა

შავი რძე დილასისხამისა ჩვენ ვსვამთ მწუხრიჟამს  
ვსვამთ მას შუადღეჟამს და დილაჟამს ვსვამთ მას ღამეჟამს  
ვსვამთ და ვსვამთ ჩვენ მას  
ჩვენ ვთხრით სამარეს ჰაერთა შინ სივიწროვეს სადაც არ  
გრძნობენ  
სახლში მავანი კაცი ცხოვრობს ის გველებთან თამაშობს ის  
წერს  
წერს აბნელდება როცა გერმანეთს მარგარეტ შენი ოქროსფერი  
თმა  
წერს და გამოდის სახლიდან და ვარსკვლავები ციმციმებენ  
სტვენით უხმობს თავის ნაგაზებს  
სტვენით გაიხმობს იგი თავის ებრაელებს და აიძულებს მათ  
მიწაში თხარონ სამარე  
ახლა კი რამე საცეკვაო დაუკარით ასე გვიბრძანებს

დილასისხამის შავო რძეო ჩვენ ვსვამთ ღამეჟამს  
ჩვენ ვსვამთ დილაჟამს და შუადღეჟამს ვსვამთ შენ მწუხრიჟამს  
ჩვენ შენ ვსვამთ და ვსვამთ  
სახლში მავანი კაცი ცხოვრობს ის გველებთან თამაშობს ის  
წერს  
წერს აბნელდება როცა გერმანეთს მარგარეტ შენი ოქროსფერი  
თმა  
სულამით შენი ფერფლისფერი თმა ჩვენ ვთხრით სამარეს  
ჰაერთა შინ სივიწროვეს სადაც არ გრძნობენ

ზოგს ნიადაგში უფრო ღრმად ჩასვლას სხვებს სიმღერას და  
ცეკვას უბრძანებს  
წაეტანება ქამარზე ფოლადს ამოაშიშვლებს ცისფერია მისი  
თვალები  
ნიჩბები უფრო ღრმად ჩაასეთ თქვენ კი ისევ საცეკვაოს დაკვრა



დილასისხამის შავო რბეო ჩვენ გსვამთ ღამეჟამს  
ჩვენ გსვამთ დილაჟამს და შუადღეჟამს გსვამთ შენ მწუხრიჟამს  
ჩვენ შენ გსვამთ და გსვამთ

სახლში მავანი კაცი ცხოვრობს მარგარეტ შენი ოქროსფერი  
თმა

სულამით შენი ფერფლისფერი თმა ის გველებთან განაგრძობს  
თამაშს

ყვირის სიკვდილი უფრო ტკბილად დაუკარით სიკვდილი ხომ  
ოსტატია გერმანეთიდან  
ყვირის შეეხეთ ვიოლინოს მეტი სიბნელით მერე ჰაერში  
კვამლივით ახვალთ  
მერე სამარეს ჰპოვებთ ღრუბლებში სივიწროვეს სადაც არ  
გრძნობენ

დილასისხამის შავო რბეო ჩვენ გსვამთ ღამეჟამს  
ჩვენ გსვამთ შუადღეჟამს სიკვდილი ხომ ოსტატია გერმანეთიდან  
ჩვენ გსვამთ მწუხრიჟამს და დილაჟამს ჩვენ შენ გსვამთ და  
გსვამთ

სიკვდილი ხომ ოსტატია მისი თვალი არის ცისფერი  
ის შენ ტყვიასხმულს მოგახვედრებს ის გესვრის ზუსტად  
სახლში მავანი კაცი ცხოვრობს მარგარეტ შენი ოქროსფერი  
თმა

თავის ნაგაზებს ის ჩვენ გვიქსევს ის ჰაერში გვჩუქნის სამარეს  
ის გველებთან განაგრძობს თამაშს სიკვდილი ხომ ოსტატია  
გერმანეთიდან

მარგარეტ შენი ოქროსფერი თმა  
სულამით შენი ფერფლისფერი თმა

## ყარიზობისას

ეს ის ჟამია, თანამგზავრად მტვერს რომ აგიჩენს,  
შენს პარიზულ სახლს – შენივ ხელთა მსხვერპლშესაწირად,  
შენს შავ თვალს – შენივ უშავეს თვალად.

ეს სამკვიდროა, რომ უპყრია შენი გულის მოსართავები.  
გაგეშლებოდა თმა, დაშურებულს – მაგრამ მას ეს აკრძალული  
აქვს.

მათ არ უწყიან, დამდგარან და ხელეებს გიქნევენ.

## ეზვიკტიუმი

უცხო ქალის თვალს უნდა უთხრა: იყავი წყალი.  
ისინი, წყალში ვინც შეიცან, უცხოს თვალში უნდა ეძიო.  
შენ წყლიდან უნდა გამოიხზო: რუთ! ნოემი! მირიამ!  
შენ უნდა მორთო იგი, როცა უცხოსთან წვები.  
შენ უნდა მორთო იგი უცხოს ღრუბლიანი თმით.  
შენ უნდა უთხრა მირიამს და ნოემის და რუთს:  
შემომხედეთ, მე მასთან ვწევარ!  
შენ საუცხოოდ უნდა მორთო შენს გვერდით უცხო.  
შენ უნდა მორთო იგი რუთის, მირიამის, ნოემის ტანჯვით.  
უცხო ქალს ასე უნდა მიუგო:  
შეხედე, მათთან ერთად ვიწექი!

## ნებელჰორნი

ბაგით სარკეში, გამრუდებულში,  
ცხაურის გისოსს მიკრული ხელით,  
ჩაიმუხლებდე ქედმაღლობის სვეტის წინაშე:

მოიახლოვეთ სიბნელე და  
დამასახელებთ,  
წარმადგინეთ მე მის წინაშე.

\* \* \*

სილურჯეს, ჯერაც მისი თვალის მაძიებელს, ვეწაფები  
უპირველესი.

შენს ნაფეხურებს ვეწაფები და ასე ვხედავ:  
შენ, მარგალიტი, გაგორდები ჩემს თითებს შორის, და შენ  
იზრდები!

იზრდები ისე, როგორც ყველა, ვინც დაივიწყეს.  
მიგორავ: სევდის კუპრისფერი სეტყვის მარცვალი  
აცვივა თავშალს, დამშვიდობების ხელისქნევით ერთიანად  
გამოთეთრებულს.

\* \* \*

ვინც, შენსავით და ყველა მტრედივით, ბნელიდან ხაპავს დღის  
შუქს და მიმწუხრს,  
ვარსკვლავს ამომჩხვლევს თვალებიდან, იელვებს ვიდრე,  
ბალახს ამომგლეჯს წარბებიდან, ითეთრებს ვიდრე,  
გამომიხურავს კარს ღრუბლებში, შევალწევ ვიდრე.

ვინც, როგორც შენ და ყველა მიხაკი, სისხლს თვლის  
სარგებლად და ღვინოდ სიკვდილს,  
ჩემი პეშვიდან გამობერავს საკუთარი თასისთვის მინას,  
აღისფრად ფერავს სიტყვით, მე რომ არასდროს მითქვამს,  
და ნამსხვრევ-ნამსხვრევ მიმოფანტავს შორი ცრემლის ქვით.

## ცეცხლის ნაჭდევი

ჩვენ ძილს დავხსნოდით, რაკილა უკვე ურვის საათის მექანიზმში  
ვიმყოფებოდით  
და, როგორც წნელებს, ჩვენ ვდრეკდით ისრებს,  
და უმაღლეს უკუსხლტებოდნენ და დროს როზგავდნენ  
სისხლისდენამდე,  
და მზარდი მწუხრის დასაცავად ხმას იმაღლებდი,  
და "შენ" თორმეტჯერ ვუთხარ შენი სიტყვების ღამეს,  
და ის განიხვნა და განხვნილი დარჩა ასევე,  
და ერთი თვალი მის კალთას ვანდე, შენ ჩაგიმაგრე თმაში მეორე  
და მე მათ შორის ცეცხლსადენი დავახვიე, არტერია  
გაშიშვლებული –  
და იქიდან ამოინთხა ცინცხალი ელვა.

\* \* \*

ვინც გულს მკერდიდან ღამისაკენ აასწრაფებს, ვარდს  
მოიპოვებს.

მისია ვარდის ფურცელიც და ეკალიც – მისი.  
სწორედ მის თეფშზე დაასვენებს ვარდი თავის შუქს,  
აღივსებიან სურნელებით მისნი სასმისნი,  
თავბრუს ახვევენ მას ჩრდილები სიყვარულისა.

ვინც გულს მკერდიდან ღამისაკენ მიმართავს და მალლა  
ატყორცნის:

ის არ ააცდენს,  
ის ქვას ქვას უწვდენს,  
საათიდან სისხლი ჟღერს მისთვის,  
ის დრო-ჟამს ზომავს თავისი დროით:  
მას უფლება აქვს ითამაშოს ულამაზესი ბურთებით და  
ისაუბროს შენზე და ჩემზე.



## ბროლი

ჩემს ბაგეებთან არ ეძიო შენი ტუჩები,  
არც კართან – უცხო,  
არც თვალში – ცრემლი.

შვიდი ღამის მაღლა აღისფერი აღისფრისკენ დაშურებულა,  
შვიდ გულზე უფრო ღრმაა კარზე ხელის კაკუნი,  
წყარო ხმაურობს შვიდ ვარდზე გვიან.

## სუღარა

ის, მსუბუქისგან შენ რაც მოქსოვე,  
მომისხამს მე ქვის პატივსაცემად.  
შეყვირებებს რომ ავშლი წყვდიადში,  
მათ კვლავ წყვდიადი შეეგებება.

ხშირად, ენა რომ ბორძიკს დაიწყებს,  
ის დავიწყებულ ნაკეცებს აჩენს,  
და მიუტევებს, ვინც ახლა ვარ,  
იმას, ვინც ვიყავ.

მაგრამ ფერდობთა მამაღვთაება  
გამოყრუებულ დაფდაფს შემოკრავს,  
და ნაკეცები როგორც ჩნდებოდა,  
სიბნელე შუბლს კრავს.

## ღია ზღვაში

პარიზი, გემი, ჩაშვებული ჭიქაში ღუზა:  
შემოვსხლომივართ სუფრას ორნი, შენ გადღეგრძელებ.  
ვსვამ ისე ღიდხანს, გიბნელდება ჩემი გული და  
ვსვამ ისე ღიდხანს, მის ცრემლებში ცურავს პარიზი,  
ვსვამ ისე ღიდხანს, რომ გეზს იღებს შორი ნისლისკენ,  
სადაც სამყარო გვებურება, სადაც ყველა “შენ” არის ის ტოტი,  
რომელსაც ჩუმ და მოფარფატე ფოთლად ვკიდევარ.

\* \* \*

მარტო ვარ, მწიფე სიშავბნელით სავსე ჭიქაში  
მე ფერფლის ყვავილს მოვათავსებ. ბაგეო დისა,  
შენ ამბობ სიტყვას, სარკმლების წინ რომ ხარობს მერე,  
და უხმოდ მეკვრის, რაც ოდესმე მიოცნებია.

უკვე ყვავილებმოთავებულ დროში ვყვავილობ,  
ნაგვიანევი ფრინველისთვის დღვირს ვაგროვებდი:  
ზაფხულგამოვლილს, ჩემთვის მოაქვს ცოცხალწითელი  
ფრთით თოვლის ფიფქი, ნისკარტით კი – ყინულის თესლი.

## ტოლჩეპი

კლაუს დემუსს

დროის გრძელ სუფრებს

მოუღსენენ ღმერთის ტოლჩეპი.

ბოლომდე სვამენ ხილულთა თვალებს და თვალდავსილთა

თვალებსაც სვამენ,

გულებს მბრძანებელ აჩრდილებისა,

მწუხრიუამის ჩაცვივრულ ლოყებს.

მომღსენთა შორის მათი ძალა უძლეველია:

როგორც სისავსე, ისე მიაქვთ ბაგეებთან სიცარიელე;

არ იღვრებიან, ვით შენ ან მე, აქაფებულნი.

\* \* \*

ყოველთვის-სა და არასდროს-ს შორის  
როცა ირწევა სიყვარულის ქანქარა, ღამით,  
ეხლება მაშინ შენი სიტყვა გულის მთვარეებს  
და საელჭექო შენი ლურჯი  
თვალი ზეცას შეუწვდენს მიწას.

შორეული და სიზმარეულშავადნაფერი  
კორომიდან ქარს მოაქვს ჩვენსკენ უკანასკნელი ამონასუნთქი,  
და რაც განქარდა, ეხეტება დიდი, როგორც მომავლის ლანდი.

რაც ოდენ ქვემოთ ეშვება და ზეამაღლდება,  
სულის სიღრმეში დამარხულს უღირს:  
ის ბრმად, ვით მზერა, რომელსაც ვუმზერთ,  
ღროს ბაგეზე ეამბორება.

\* \* \*

ასე ვიძინებ, ხოლო თვალი მრჩება ფხიზელი.  
ბოლომდე ვცლიდით, წვიმა როცა ტოლჩას ავსებდა.  
ღამეა გულის მადევარი, გული კი – წველის –  
მცელავო ქალო, თიბვა უკვე დაგაგვიანდა.

ასე თოვლივით თეთრი თმა გაქვს, ქარო ღამისა!  
თეთრი შემომრჩა, თეთრს ვკარგავ და მეკარგებოდა!  
ის საათების თვლით დაბმულა, მე კი – წლებისა.  
ჩვენ წვიმას ვსვამდით. ბაგე წვიმას ეწაფებოდა.

\* \* \*

ისე შეცვლილხარ, სხვა ხარ ისეთი,  
როგორსაც მე შენ ვერ გცნობ სრულიად:  
იქ, ჭისწყაროთა უცხო მხარეში  
ყოველგან რომ ძგერს, შენი გულია,

სადაც არ არის ბაგე მწყურვალი  
და სახეს ჩრდილი არ ეკარება,  
სადაც თავწყაროდ შუქს ჰპოვებს წყალი  
და შუქი, როგორც წყალი, ქაფდება.

ყველა ციალი შენით ციალებს,  
ჭების წყლებს შენი შუქი ჰფენია,  
სრულ დავიწყებას უნდა მიეცეს  
თამაში, შენ რომ მოგიგონია.



## საიშედო ციხესიმაგრე

მე ვიცი ყველა სახლის მიმწუხრი:

შენსაზე ბევრად ღრმა თვალია, იქ რომ მზერას მიმოატარებს.

ფრონტონზე გლოვის დიდი ღროშა ააფრებულა:

მისი მაუდი წენგოსფერი – არ კი იცი, რომ ის შენი

მოქსოვილია.

მალლაც ისე ფრენს, თითქოს შენვე არ მოგექსოვოს.

სალამს მოგიძღვნის ჭიშკართან სიტყვა, შენ რომელსაც

დაემშვიდობე,

და რაც შეგეხო შენ აქ, წველიც, გულიც, ყვავილიც,

ის, რა ხანია, იქ სტუმრობს და შენ მას მერე არ შეგხვებია.

თუმცა, იმ სახლში შენ სარკიდან გამოჩინდები,

ასე გიხილავს შენ სამივე, ყვავილი და გული და წველი.

და ის, უღრმესი ის თვალია, შენს ღრმა თვალს რომ დასწაფებია.

\* \* \*

წამოიშალა უთეთრესად მტრედების გუნდი: რომ მიყვარდე,  
მომეცა ნება!

უხმო სარკმელში, ვხედავ, უხმო კარი ირწევს.  
მღუმარ ოთახში მღუმარე ხე შემოისახა.  
ისე ახლოს ხარ, თითქოს შენ აქ სულაც არ იყო.

მე მაღალ ყვავილს გამოგიწვდი, შენ გამომართმევ:  
ის არც თეთრია, არც წითელი, არც ცისფერი – მაგრამ მაინც  
დაისაკუთრებ.

ის იქ დარჩება სამუდამოდ, სადაც არ იყო.  
არც ჩვენ ვყოფილვართ, მაშ, დავრჩებით ჩვენც მასთან ერთად.

## ქილი და საკვები

ღამის სუნთქვაა შენი ზეწარი, და უკუნეთიც შენ მოგიწება.  
მოგიალერსებს საფეთქელზე, ძილისთვის და სიცოცხლისთვის  
გამოგაფხიზლებს,

გაგნებს სიტყვაში, სურვილში, ფიქრში,  
თითოეულ მათგანთან სძინავს, გამოგიტყუებს.  
ის მარილს გვარცხნის წამწამებიდან და შენვე გიწვდის,  
შენვე მოგართმევს ქვიშას, რომელსაც აყურადებს შენივე ჟამს  
ყურმიდებული.

ხოლო რაღაც ის ვარდი იყო, ჩრდილი და წყალი,  
შენ დაგარწყულებს.

## თანამგზავრი

დედაშენია, ვისი სულიც შენს თავს ზემოთ ფრენს.

დედაშენია, ვისი სულიც ღამეულ მგზავრს რიფებს შორის  
გაგაგნებინებს.

დედაშენია, ვისი სულიც გიფრთხობს ზვიგენებს.

აი, ეს სიტყვა დედაშენის გამოზრდილია.

ვინც დედაშენმა გამოზარდა, ქვიდან ქვამდე შენს სარეცელს  
გაიზიარებს.

ვინც დედაშენმა გამოზარდა, მიემთხვევა ნათლის ნამცეცებს.

\* \* \*

თვალები:

წვიმის ნიაღვარში გაბრწყინებული,  
როცა ღმერთმა შესმა მიბრძანა.

თვალები:

ოქრო, ღამეყამმა პეშევებში რომ ჩამიჩხრიალა,  
ჭინჭარს რომ ვკრეფდი  
და ანდაზებს ჩრდილებს ვუთხრიდი.

თვალები:

მწუხრი, ჩემს თავს ზემოთ გაელვებული, ჭიშკარში რომ  
გამოვიჭერი  
და მერე, ჩემივ საფეთქელთა ყინულეთში გამოზამთრებულს,  
მარადისობის საუფლოში ამხედრებულს მიმიხაროდა.

## მარადისობა

ღამის ხის ქერქი, დანა ჟანგადდაბადებული  
შენ სახელებს და დროს და გულებს ჩაგჩურჩულებენ.  
სიტყვა, რომელიც თვლემდა, როცა ჩვენ ჩაგვესმოდა,  
ჩასრიალდება ფოთლოვანში:  
შემოდგომა ენამჭევრი იქნება ალბათ,  
და კიდევ უფრო ენამჭევრი – ხელი, მისი შემგროვებელი,  
და დავიწყების ყაყჩოსებრ უჭკნობი – ბაგე, ამ ხელს რომ  
კოცნის.

## ზვირთცემა

ჟამო, ფრთას ისხამ დიუნებში.

ქვიშის მარცვლით შეკრული დრო ჩემს მკლავებში ამღერებულა:  
მე ვწევარ მასში, მარჯვენაში დანა მიჰყრია.

აქაფდი, ტალღავ! გაბედე და გამოდი, თევზო!  
სადაც წყალია, კიდევ ერთხელ შეიძლება სიცოცხლის ჩენა,  
სიკვდილთან ერთხმად კიდევ ერთხელ ამ სამყაროს  
გადმომღერება,

ღარტაფიდან კიდევ ერთხელ ამოხმობა: ნახეთ,  
ჩვენ გვერგო თავშესაფარი,  
ნახეთ, ქვეყანა ჩვენი იყო, ნახეთ,  
როგორ ვეგზეთ ჩვენ ვარსკვლავს!

\* \* \*

გულებიდან და თავებიდან  
ღამის წველნი განიშლებიან,  
და ცელთა მიერ ნათქვამ სიტყვას  
სიცოცხლისკენ გადახრის ღამე.

ამ ღამესავით მდუმარენი,  
სამყაროსკენ დავშურებულვართ:  
მზერანი ჩვენნი,  
მიმოცვლილნი, ნუგეშინის მოსაპოვებლად,  
გზას მიიკვლევენ ცეცებით და  
ბნელად გვიხმობენ.

მზერადავსილი  
შენი თვალი ჩემს თვალში ღუმს ამიერიდან,  
მე, მოყარიბე,  
დავწვდები და შენი გული ბაგესთან მიმაქვს,  
შენ დასწვდები და შენი ბავით ემთხვევი ჩემს გულს:  
ის დაარწყულებს ჟამთა წყურვილს,  
რასაც ახლა ვსვამთ,  
დროს აღავსებენ ჟამნი იმით,  
რაც ჩვენ ახლა ვართ.

თუ გვაგემოვნებს?  
არა ბგერა, არა ნათელი  
სხლტება ჩვენს შორის, ამის სათქმელად.

ო, წველნო, წველნო.  
წველნო ღამისა.



\* \* \*

დაუცხრომელო გულო, ვისთვისაც, კელაპტართა და ჟამთა  
შუაგულ,

კერპთა მსახური აშენებს ქალაქს,  
შენ ზე მიიწევ

ტბორებისკენ, ალკებთან ერთად:

სადაც ფლეიტა ღამისეულში

მისი ღუმლის მეგობარს კვეთს და

წყლებს გამოუჩენს.

ნაპირზე

აზრი, შენიღბული, მიმოდის და სმენად ქცეულა:

რამეთუ არც რა

გამოხდება კუთვნილი სახით,

და სიტყვას, შენ რომ თავზე დაგნათის,

გვიმრის ფოთოლში მოფუსფუსე ხოჭოს რწმენა აქვს.

\* \* \*

თითქოს ვარცხნიდეს ქალის ცხედარს, თმას ისე ვარცხნის  
იმას, ვინც კვართქვეშ დაატარებს თავის ლურჯ ნამსხვრევს.

ის გამოთასმულს დაატარებს სამყაროს ნამსხვრევს.  
იცის სათქმელი, მაგრამ სიტყვებს ნაზ ღიმილს არჩევს.

ის თავის ღიმილს ამოურევს ერთ თას ღვინოში:  
უნდა დალიო, ყოფნა თუ გსურს ამ სამყაროში.

ყოველთვის, როცა ფიქრიანად ჩასცქერს ცხოვრებას,  
შენ ხარ სურათი, რომელშიც ის ამ ნამსხვრევს ხედავს.

\* \* \*

რაკი, სიტყვებით დაბრმავებული,  
აღმოაცენებ შენ მას ღამიდან,  
ხეს, რომლის ჩრდილიც ამავე ხეზე უწინ ყვავილობს:  
დაეხურება ფერფლისქუთუთო, რომლის ქვეშ იყო, თვალი დისა  
თოვლში ფიქრს რომ გამოახვევდა –

სრულიად ჰყოფნის ფოთლეული ამიერიდან  
ქარის ქროლვის და გამოთქმულის ამოსაკითხად,  
და მოჯარული ვარსკვლავები  
ახლა დროის სარკეში ჩანან.

ტაფობში ფეხი ჩაიმყარე, მოზიდე თალი:  
იქ ის, შენი და, დაგდევნებია,  
ხოლო სიკვდილი, მომდინარე თვალის ჭრილიდან,  
პურს გიყოფთ თბილი მიღების ნიშნად,  
ისიც თქვენსავით თასს ეტანება.

და თქვენ მას ღვინოს შეუზავებთ სანელებლებით.

## ღანდუაფტი

ამ მიწის კაცნო – თქვენ, მაღალო აღვის ხეებო!  
ბედნიერების შავო ტბორებო – სიკვდილისკენ დედამიწის  
ამრეკლავებო!

ამ ბრწყინვალეებით გარემოცულს გხედავდი, დაო.

## სიჩუმევი!

სიჩუმევი! გულში ჩაგასობ ეკალს,  
რაკილა ვარდი, რაკილა ვარდი  
ჰვიებს სარკეში ჩრდილთან ერთად, სისხლად იღვრება!  
სისხლად იღვრება იმ დროიდან, ჰოს და არას ერთმანეთში  
როცა ვურევდით,  
როცა ვწრუპავდით,  
რაკილა ჭიქა, მაგიდიდან რომ ხტებოდა, ზარს გამოსცემდა:  
რეკვით გვამცნობდა ღამეს, რომელიც ბნელს მოიღებდა ჩვენზე  
ხანგრძლივად.

ჩვენ ვსვამდით ხარბი ბაგეებით:  
ნალველივით გემო ჰქონდა,  
მაგრამ მაინც ქაფდებოდა, მსგავსად ღვინისა –  
ხოლო მე შენი თვალების ჭავლს ავლევებოდი,  
და ენა სიტკბოს ჩაგვლულლულეებდა...  
(ასე ლულლულეებს, იგი ჯერაც ასე ლულლულეებს.)

სიჩუმევი! ეკალს განუმსჭვალავს ღრმად შენი გული:  
ვარდთან ერთად გამოკონილა.

## წყალი და ცეცხლი

რა ჟამსაც კოშკში გამოგამწყვდიე და სიტყვა წარვთქვი  
ურთხელთა მიმართ,  
იქიდან ცეცხლის აღმა ისკუპა და აგიზომა კაბა უეცრად,  
საქორწილო შენი სამოსი:

ნათელ არს ღამე,  
ნათელ არს ღამე, ჩვენ რომ გულები აღმოგვიჩინა,  
ნათელ არს ღამე!

თავის ნათებას ის ზღვას გაუწვდენს,  
სრუტის მთვარეებს ძილს შემოურღვევს და აქაფებულ  
სუფრებზე შეღვამს,  
ის მათგან დრო-ჟამს ჩამომბანს წმინდად:  
შენ, მკვდარო ვერცხლო, ისევ გაცოცხლდი, თასად და ჯამად  
გადაიქეც, როგორც ნიჟარა!

ბობოქრობს სუფრა ჟამით ჟამამდე,  
კათხები ქარით ამოივსება,  
ზღვა მიმოიპყრობს, მოქაფავს ხორავს:  
გზაბნეულ თვალს, ჭექნაკრავ ყურს,  
თევზსა და მცურავს.

ბობოქრობს სუფრა ღამით ღამემდე,  
და ჩემს თავს ზემოთ მიცურავენ დროშები ხალხთა,  
და ჩემს მხარდამხარ კაცთა ხელი ნაპირისკენ კუბობს ხოფავს,  
ხოლო ჩემს ქვემოთ ცაობს, ვარსკვლავობს, ვით ჩემს მხარეში  
იოანეს დროს!

და მზერა შენსკენ მომიმართავს,  
მზეცეცხლოვანო:

იფიქრე დროზე, ღამე მთის ფერდობს ჩვენთან ერთად რომ  
მიუყვებოდა,

იფიქრე დროზე,

იფიქრე, სწორედ ის რომ ვიყავ, ვინც ამჟამად ვარ:

ოსტატი კოშკთა, საპყრობილეთა,

ქროლვა ურთხლებში, ზღვაში მომღზენი,

სიტყვა, რომელშიც შენი ტანი ჩაიფერფლება.

\* \* \*

დათვალე ნუში,  
დათვალე, მწარე რაც იყო და ფხიზელს გტოვებდა,  
და მიმათვალე:

შენს თვალს ვეძებდი, რომ განხვენ და არვინ გიმზერდა,  
იმ საიდუმლო ძაფს ვნასკვავდი,  
რომელზეც ცვარი, შენგან ნაფიქრი,  
ტოლჩებისკენ ჩასრიალებდა, დაცულებისკენ  
ჯადოსიტყვით, არვის გული რომელმაც ჰპოვა.

პირველად სრულად იქ შეხვედი სახელში, შენი რომელიც არის,  
შენსკენვე მტკიცე ნაბიჯებით ეშურებოდი,  
უროები თავისუფლად ირწეოდნენ შენი ღუმლის ზარსაკიდ  
ღერძზე,

შენ გაწყდებოდა მოსმენილი,  
გარდაცვლილმა მოგხვია მკლავი,  
და თქვენ, სამმა, მიმწუხრი განვლეთ.

გამამწარე,  
მიმათვალე ნუშებს.



## მსმენოდა

მსმენოდა,  
წყალში ქვა არისო და წრეც არისო  
და წყლის თავს – სიტყვა,  
ქვის გარშემო წრის შემომწერი.

მე ვნახე წყლისკენ დაშვებული ჩემი ალვის ხე,  
მე ვნახე, სიღრმეს მისი ხელი როგორ სწვდება,  
ვნახე ღამისთვის ცისკენ ლოცვად აღვლენილი მისი ფესვებიც.

მე მისკენ როდი ავჩქარებულვარ,  
ოდენ პურისგულს ვკრებდი ფსკერიდან,  
რომელსაც შენი თვალის იერი და შენი თვალის სიღიადე აქვს,  
მე შენ ყელიდან შემოგახსენი ყელსაბამი შეგონებათა  
და იმ მაგიდას მოვაველე ქობად, რომელზეც პურის გული იღო  
ამიერიდან.

და ჩემი ალვა ველარ ვიხილე.

## ნაჯახებით მოთამაშე

ღამისმიერი შვიდი საათი, და წელიწადიც სიფხიზლის – შვიდი:  
შენ, ნაჯახებით მოთამაშე,  
წევხარ აღმდგარი ცხედრების ჩრდილში  
– ო, ხეები, რომლებსაც არ ჭრი! –,  
დადუმებულთა ბრწყინვალეების თავებთან წევხარ,  
ფეხებთან სიტყვათ სილატაკისა,  
წევხარ და ისევ ნაჯახებით თამაშს განაგრძობ –  
და ბოლოს ბრწყინავ, როგორც ისინი.

## ტახად სასული

ტახად სასული,  
ნაბიჯებიძე შენი სიზმარი ტყეს შერევია სალამოსპირზე.  
თეთრად ელავენ,  
ვით ყინული, საიდანაც ამოირღვა,  
ტახის ეშვები.

ის მწარე კაკალს  
ამოჩიჩქნის ბალახებიდან,  
რომლებმაც ხეებს გამოსტაცეს თავისი ჩრდილი,  
კაკალი,  
შავი, როგორც გული, შენმა ფეხმა რომ მოიშორა.  
როცა აქ შენვე მიმოდიოდი.

ის კაკალს დაფქვავს  
და მოღრუტუნე მისი სვე-ბედი კორომს ალავსებს,  
მერე გეზს იღებს  
ზღვისპირისკენ, თავქვე ეშვება,  
იქითკენ, სადაც  
ზღვის ძლიერება  
რიფებს მრისხანედ დაფუძნებია.

და იქნებ  
სწორედ ამ ნაყოფმა, მისმა ნაყოფმა,  
ელვარე თვალი მონუსხა და  
ქებებს ცრემლები დააღვრევინა.

## ასიწელი

უმბრიის ღამე.

უმბრიის ღამე ზარისა და ზეთისხილის ფოთოლთა ვერცხლით.

უმბრიის ღამე ქვით, რომელიც აქეთ მოგქონდა.

უმბრიის ღამე მოტანილი ქვით.

დადუმებულა, სიცოცხლისკენ რაც ამაღლდა, დადუმებულა.  
ხელადები მი-და-მოავსე.

თიხის ხელადა.

თიხის ხელადა, რომელსაც მტკიცედ შეეზარდა მეთუნის ხელი.

თიხის ხელადა, აჩრდილის ხელს რომ სამუდამოდ მოუმწყვდეგია.

თიხის ხელადა, აჩრდილის დამლით.

ქვა, ქვა, საითაც გაიხედავ.  
შეუშვი ვირი.

მოჩაქჩაქე ეს ცხოველი.

მოჩაქჩაქე ცხოველი თოვლში, უშიშვლესი ხელი რომ ფანტავს.

მოჩაქჩაქე ეს ცხოველი სასახლეში ჩავარდნილი სიტყვის წინაშე.

მოჩაქჩაქე ცხოველი, ძილს რომ ღოღნის ხელიდან.

ელვა, ნუგეში რომ არ სურს, ელვა.

გარდაცვლილები – ფრანცისკა, ისინი მოწყალეებას

ითხოვენ ჯერაც.

## ცვალებადი გასაღებით

შენ ცვალებადი გასაღებით  
აღებ სახლის კარს,  
რომელშიც აღწევს მღუმარის თოვლი.  
იცვლება შენი გასაღები,  
შენი პირიდან ან ყურიდან ან თვალიდან  
დადენილი სისხლის მიხედვით.

იცვლება შენი გასაღები და – შენი სიტყვა,  
ფიფქთან ერთად რომ შეიძლება შემოაღწიოს.  
შესაბამისად იმ ქარისა, შენ რომ გაძევებს,  
ამ სიტყვას თოვლი მოეგრაგნება.

## აბ

აქ – ეს გულისხმობს აქ, ალუბლის ფერს სადაც სურს, უფრო  
შავი იყოს, ვიდრე იქ იყო.

აქ – ეს გულისხმობს ამ ხელს, მას რომ ყოფნაში შველის.

აქ – ეს გულისხმობს გემს, რომლითაც გადავურჩი ქვიშის  
მდინარეს:

მისაბლული წევს

ის იმ ძილში, შენ რომელიც მიმოაბნიე.

აქ – ეს გულისხმობს კაცს, ჩემთვის ნაცნობს:

თეთრია მისი საფეთქელი,

მსგავსი ხვატისა, ის რომ აქრობდა.

შუბლში მესროლა თავისი კათხა,

მაგრამ დაბრუნდა

ერთი წლის მერე,

ნაჭრილობევი რომ დაეკოცნა.

წყევლის და ლოცვის სიტყვებს ამბობდა,

მერე ხმა აღარ ამოუღია.

აქ – ეს გულისხმობს აი, ამ ქალაქს,

რომელსაც შენ და ღრუბელი მართავთ,

რომელსაც მისი მწუხრები მართავს.

## ნატურმორტი

წვეილი სანთელი, წვეილი ალი, წვეილი ნათება.

და ეს აქ, ამის ქვემორე: თვალი,  
დაუწვეილები და დახურული,  
სალამოს მომხაოებელი, რომელიც დადგა  
ისე, რომ მწუხრად არ ქცეულიყო.

წინ კი – ის უცხო, შენ აქ რომლის სტუმარიც გქვია:  
ნარშავი, ნათელს მოკლებული,  
რომლითაც ბნელი ასაჩუქრებს ყოფიერებებს,  
შორეთიდან,  
რათა დარჩეს დაუვიწყარი.

და ესეც, ყრუში დაკარგული:  
ბაგე,  
ქვიანში გაქვავებულ-განმტკიცებული,  
გამოხმობილი იმ ზღვის მიერ,  
წლებს რომ ახვეწს საკუთარ ყინულს.

## და მშვენიერი

და მშვენიერი, შენ რომელსაც ჩეჩავდი, და თმა,  
რომელსაც ჩეჩავ:

ნეტავ, რომელი სავარცხელი  
ვარცხნის მას ისევ, ამ მშვენიერ თმას?  
ნეტავ, რომელი სავარცხელი  
და ვისი ხელით?

და ქვები, შენ რომ აგროვებდი,  
შენ რომ აგროვებ:  
საით დასცემენ ქვები ჩრდილებს,  
და რა სიშორით?

და იგივე ქარი, სადღაც ზემოთ მიმოხლილი,  
და იგივე ქარი:  
კრებს და თავს უყრის ის ამ ჩრდილებს?  
მას შენში ურევს?



## ტყიანი

ტყიანი, მონამყვირალეები ირმების მიერ,  
ქვეყნიერება მოეჯარვის უკვე იმ სიტყვას,  
ზაფხულით – გახანგრძლივებულით – გახურებული,  
შენს ტუჩებზე რომ მონდომებით დაყოვნებულა.

შორს გაიტაცებს მას სამყარო, ასდევნებიხარ,  
მისდევ და სავალს ველარ იგნებ – და შენ შეიგრძნობ,  
როგორ გირკალავს მკლავს ციური მანანას ირგვლივ  
ქარი, რომელსაც ენდობოდი უტყვად, ხანგრძლივად.

იმას, ძილიდან ვინც მოვიდა  
და ძილს მიეცა,  
ნებაც მიეცა, დაარწიოს გრძნებით შეკრული.

შენ მას მიარწევ თავქვე დინებით,  
რომელშიც ჭარლი ირეკლება,  
ბუდეების არსად-თან ახლოს.

შენ მას მიარწევ ქვემოთ-ქვემოთ, ნაკაფის გავლით,  
რომელსაც ღრმად ტყის ხურვებაში თოვლი სწადია,  
და რწევა-რწევით გარდაიწვდი იმავ სიტყვისკენ,  
იქ რომ სახელდება იმას, რაც შენ გაგთეთრებია.

## მწუხრი სიტყვათა

მწუხრი სიტყვათა – სიჩუმეში ჯადოჯოხით მიწისქვეშა წყალს  
რომ ეძებენ!

ერთი ნაბიჯი, და – მეორე,  
იქვე – მესამე, რომლის კვალი  
შენი ჩრდილით არ წაიშლება:

პირს იხსნის  
დროის ნაიარევი  
და სისხლის ტბორში დაძირავს მიწას –  
ქოფაკნი სიტყვადამის, ქოფაკნი  
შენს შუაგულში  
ხმას იმაღლებენ:  
რას ზეიმობენ? ველურ წყურვილს  
და ველურ შიმშილს...

უკანასკნელი მთვარე ჩნდება, რათა გიშველოს:  
გრძელ ვერცხლისფერ ძვალს –  
იმ გზასავით შიშველს, შენ რომ აქ მოგიყვანა –  
ხროვას მიუგდებს,  
მაგრამ მაინც ვერაფერს გშველის:  
სხივი, რომელიც გააღვიძე,  
აქვე ქაფდება,  
ტივტივ მოცურავს ის ნაყოფი,  
დიდი ხნის წინ შენ რომ ჩაკბიჩე.

## ფერღობი

ჩემს გვერდით ცხოვრობ, ჩემი მსგავსი:  
ქვად მოსული  
ჩაშვავებულ ლოყაზე ღამის.

ო, ეს ფერღობი, საყვარელო,  
სადაც ვგორავთ შეუსვენებლივ  
ჩვენ, ქვანი,  
ღარაკ-ღარაკ მბრუნავნი.  
ჯერიდან ჯერზე კიდევ უფრო მომრგვალებულნი.  
მსგავსნი. უცხონი.

მონამთვრალევი, ო, ეს თვალი,  
აქ ჩვენსავით რომ ეხეტება,  
და, ზოგჯერ, ჩვენ ის  
ერთარს გვხედავს გაკვირვებული.

## 3060

და შენ, შენც ასე –:  
დაჭუპრებული.  
ვით ყოველივე ღამითრწეული.

ირგვლივ ეს თრთოლვა-ფრთებისცემანი:  
რაც ჩამესმის და რასაც ვერ ვხედავ!

და შენ,  
ვით დღისგან თავდასხნილი თითოეული:  
დაჭუპრებული.

და თვალნი, შენ რომ გეძიებენ.  
ჩემი თვალიც – ამ თვალთა შორის.

მზერა:  
სულ ერთი ძაფით მეტი, შენ რომელიც შემოგვევლება.

ეს გვიანი, გვიანი შუქი.  
ციმციმებენ ძაფები: ვიცი.

## მინდვრები

ყოველთვის ერთი, ხე ალვისა  
აზრის კიდეზე.  
ყოველთვის თითი, სამანთან რომ  
ამაღლებულა.

ხოლო მისგან შორს  
მწუხრს ორნატი შეუყოვნდება.  
მაგრამ ღრუბელი:  
ის არ ყოვნდება.

ყოველთვის თვალი.  
ყოველთვის თვალი, რომლის ქუთუთოს  
შენ გაახელ, როცა შენიშნავ  
მის ჩამოხრილ დედამიშვილებს.  
მიწყევ ეს თვალი.

მიწყევ ეს თვალი, რომლის მზერა  
იმ ერთს, ალვას, მოეხლართება.

## ხ ს ო მ ნ ა

ლეღვითნაყრული იყოს გული,  
მასში ჟამი გაიხსენებს  
ნუშისთვალს მკვდრისას.  
ლეღვითნაყრული.

ზღვის სუნთქვაში კი – სიჰი,  
ჩაშლილი  
შუბლი,  
დაიკო ფრიალო კლდეთა.

და ირგვლივ შენი ჭაღარისა ფართოვდება  
სამზეური ღრუბლის  
საწმისი.

## ღამით დაბერილი

ჰანა და ჰერმან ლენცებს

ტუჩები, ღამით დაბერილი,  
ყვავილებისა;  
ტანები ნაძვის ხეებისა,  
დაჯვარული, მიმოჭლობილი;  
ხავსი – გამხმარი, ქვა – მორყეული,  
შემზადებულან მყინვარის თავს  
უსასრულო ფრენისთვის ჭკები:

ეს მოდამოა, სადაც ისინი  
შესვენებულან, ვისაც ვეწიეთ:

მათ მიერ ჟამი აღარასდროს დასახელდება,  
ფიფქს აღარასდროს დაითვლიან,  
წყლებს საგუბრამდე აღარასდროს აუყვებიან.

ისინი ღვანან განრიდებით ამ სამყაროში,  
ყოველი თავის ღამესთან ერთად,  
ყოველი თავის სიკვდილთან ერთად,  
მიუკარები, თავშიშველი, ნიშანდებული  
ახლოეულით და შორეულით.

იმ ვალს იხდიან, მათ საწყისს რომ სული ჩაუდგა,  
ვალს იმ სიტყვისა,  
ამ ზაფხულივით უკანონო რომელიც არის.

სიტყვა – შენ იცი:  
მიცვალებული.

ჩვენ ის განვბანოთ,

ჩვენ ის დავკარცხნოთ  
და მისი თვალი  
ცისკენ მივმართოთ.



## პოლ ელზარის სახსოვარი

იგივ სიტყვები ჩაუსვენე საფლავში ცხედარს,  
რომლებსაც ერთ დროს მეტყველებდა, რათა ეცოცხლა.  
თავი მათ შორის დაუვანე,  
განაცდევინე  
ლტოლვის ენები,  
მარწუხენები.

ქუთუთოებზე დაასვენე გარდაცვლილს სიტყვა,  
რომელსაც იგი არ ეტყვის იმას,  
ვინც მას შენობით ესიტყვებოდა,  
სიტყვა,  
რომლის პირ მისი გულის სისხლმა იჩქეფა,  
როცა შიშველმა ხელმა, მსგავსმა მისივე ხელისა,  
იმისმა ხელმა, ვინც შენობით ესიტყვებოდა,  
მიაღურსმა ხეების მერმისს.

შენ მას ეს სიტყვა დაასვენე ქუთუთოებზე:  
იქნებ,  
მის თვალში, სიღურჯეს რომ ინახავს ჯერაც,  
შეაღწიოს სულ სხვა სიღურჯემ,  
და მაშინ ის, ვინც მას შენობით ესიტყვებოდა,  
იოცნებებს, რომ მას "ჩვენ" უთხრას.

## შიზოლეთი

ჩემს ქვებთან ერთად,  
მსხვილ ცრემლებთან,  
ვისოსების მიღმა დაღვრილთან,

ბაზრის მოედნის შუაგულში  
მათ შემათრიეს,  
იქ,  
სადაც დროშა აღემართათ, რომლის წინაშეც  
ფიცს ვერ დავლებდი ვერანაირად.

ფლეიტა,  
მრჩობლი ფლეიტა ღამის:  
იფიქრე ბნელ  
წყვილ დაფიონზე  
ვენის, მადრიდის.

ააფრიალე შენი დროშა ანძაზე,  
ხსოვნავ.  
ქიმზე ანძისა,  
სადღეისოდ, სამარადისოდ.

გულო:  
აქ, ბაზრის მოედნის შუაგულ,  
დაე, იყავ შესაცნობელი.  
აღმოიძახე ეს, შიბოლეთი, სამშობლოდან  
შორს დაშთენილმა.  
თებერვალი. No pasarán.

მარტორქაო:  
შენ უწყვი ქვები,

შენ უწყი წყლები,  
გამომყევი და  
ესტრემალურას  
ხმებთან  
მიგიყვან.

## ჩვენ გხედავთ

ჩვენ გხედავთ, ცაო, ღიას, ჩვენ გხედავთ.  
შენ გამოდენი წყება-წყება  
ჩუტყვაველებს,  
ჩირქოვან წყლულებს.  
ასე ამრავლებ მარადისობას.

გხედავთ, მიწაო, ღიას, ჩვენ გხედავთ.  
წყება-წყება განასხვისებ  
სულებს,  
აჩრდილებს.  
ასე სუნთქავენ დროის ხანძრები.

## კენოტაფი

მიმოაბნე, უცხოვ, შენი ყვავილები, უშფოთველად მიმოაბნე:  
შენ მათ გაუწვდენ ქვედამართულ სიღრმეებს:  
ბალებს.

ვინც აქ უნდა წოლილიყო, იგი  
არსად წევს. მაგრამ მის გვერდით სამყარო წევს,  
ის სამყარო, რომელმაც თვალი  
მრავალფერადი ყვავილობის წინაშე განხვანა.

მაგრამ მან, რაკი ბევრი ნახა,  
ბრძეები არჩია:  
ის ვიღოდა და ბევრად მეტს კრეფდა:  
ის კრეფდა სურნელს –  
და ეს მათ, ამის მნახველებმა, არ აპატეის.

ამის მერე კი წავიდა და იშვიათ წვეთს დაეწაფა –  
მან ზღვა დალია.  
თევზნი ზღვისანი –  
თუ შეერთვნენ თევზნი ზღვისანი?

## თქვი უნც

თქვი უნც,  
თქვი, როგორც უკანასკნელმა,  
თქვი უნი სიტყვა.

თქვი –  
არა არ კი განწვალო ჰო-სგან.  
შენს სიტყვას აზრი მიანიჭე:  
უბოძე ჩრდილი.

უბოძე ჩრდილი საკმარისად,  
ისევე მრავლად,  
როგორც შენს ირგვლივ თვლი საჭიროდ ანაწილებდე  
შუალამესა და შუადღესა და შუალამეს შორის.

მიმოიხედე:  
ნახე, რარიგ მოზღვაუდება სიცოცხლე ირგვლივ –  
სიკვდილისას! სიცოცხლე ირგვლივ!  
მართალს მეტყველებს, ვინც ჩრდილს მეტყველებს.

თუმცა კი, უკვე მჭიდროვდება უნი სადგომი:  
საით აწილა, განჩრდილულო, აწილა საით?  
წამოიძარათე. მალლით იძარათე.  
შენ გაილევი და გახდები კიდევ უფრო ვერსაცნობი, უფაქიზესი!  
უფაქიზესი: ძაფი,  
რომლითაც მას, ვარსკვლავს, ქვემოთ დაშვება ნებავს:  
ქვემოთ ცურავდეს რათა, ქვემოთ,  
სადაც იგი საკუთარ თავს ჩაჰკვირვებია: მოყარბე  
სიტყვათა მსუბუქ ტალღაზე მბრწყინავს.

## ჟამწითელი ტუჩებით

ზღვაში დამწიფდა ბაგე, დაისი  
რომლის სიტყვებსაც აქ იმეორებს,  
წინაშე თავის ამ ქვეყნებისა.  
ის მათ ბუტბუტით იმეორებს,  
ჟამწითელი ტუჩებით ამბობს.

ბაგე, ზღვის მიერ დამწიფებული,  
ზღვის მიერ, სადაც თინუსს ცურვა ეამებოდა  
ელვარებაში,  
კაცთაკენ რომ მიმართავს ნათელს.

ვერცხლი თინუსის, სხივშემსჭვალული,  
ვერცხლოვანი სარკე თინუსის:  
აღმოუჩვენებს თვალებს  
მეორე – მოყარიბე – დიდებას  
შუბლთა.

ვერცხლი და ვერცხლი.  
ორჯერადი ვერცხლი სიღრმისა.

ეგ ნავი იქით მიმართე,  
ძმაო.  
შენი ბადე კი ამის მერე ჩააგდე,  
ძმაო.

აღმოზიდე და  
ჩვენს სახლებში მიმოაბნე,  
ჩვენს მაგიდებზე მიმოყარე,  
ჩვენს თეფშებზე მიმოაბნე –

უყურე, როგორ სივდებიან ჩვენი ტუჩები,  
ისინიც, მსგავსად დაისისა, ჟამწითლულები,  
ისინიც მისებრ მობუტბუტენი –  
და ბაგე ზღვიდან  
უსასრულო კოცნისათვის  
ამონთქმება.



## ARGUMENTUM E SILENTIO

რენე შარს

მისაბლულია

ოქროსა და დავიწყებას შორის:

სილაძე.

ორივ მას არის ჩაფრენილი.

ორივ მისგან საზრდოობდა მოქმედების თავისუფლებით.

დადე,

ამიერ შენც იქით დადე, ამო-

ნათება რასაც ნებავს დღეებთან ერთად:

სიტყვა, ვარსკვლავზე გადამფრენი,

ზღვის თავს ლივლივა.

სიტყვა თვითეულს.

თვითეულს სიტყვა, რომელიც მაშინ უმღერდა იმას,

როცა მიპარვით აცხრებოდა ზურგიდან ხროვა –

თვითეულს სიტყვა, რომელიც მას უმღეროდა და ხევდებოდა.

მას, ღამეს,

მფრენი ვარსკვლავის თავს, ზღვის თავს ლივლივა,

მასვე, უთქმელი,

სისხლი რომ არ გადმოაჩქეფა,

შხამით აღსავსე კბილმა როცა ბგერები ჩაჭრა.

მას სიტყვა უტყვი.

პირისპირ სხვათა, რომლებიც მალე,

ვით მეძავებით, მოალყულნი მტანჯველთა სმენით,

ლამის დროსაც და დროებებსაც გადასწვდებიან,

ის დაამოწმებს ბოლო ჟამზე,

ბოლო ჟამზე, როცა ოდენ ბორკილების ჟღარუნი ისმის,  
ის დაამოწმებს იმას, ვინც იქ წევს  
დავიწყებასა და ოქროს შორის,  
ოდითგანვე ძმებად მათი დამწყვილებელი –

რამეთუ, მითხარ, სად  
ინათებს, თუ არა მასთან,  
ვინც თავის ცრემლის ნიაღვარში  
დაძირულ მზეებს ნათესს უჩვენებს  
კვლავაც და კვლავაც?

## მეხმარებელი

### ნანი და კლაუს დემუსებს

ისინი მისი თვალების ყურძენს აბინავებენ შემოდგომაზე,  
მთელ ამ ნატირალს გამოწურავენ და დაწურავენ, ამას აგრეთვე:  
ასე სურს ღამეს,  
ღამეს, რომელსაც აი, ესენი, ქვის კედლები, ჩამოყრდნობია,  
ამას მოითხოვს ქვა,  
ქვა, რომელზეც მისი ჭიგო ესიტყვება გაუთავებლად  
პასუხის დუმის –  
ჭიგო იმისი, რომელიც ერთხელ,  
რომელიც ერთხელ შემოდგომაზე,  
როს წელიწადი სასიკვდილოდ ჩაივსება, როგორც მტევანი,  
გამოგონილის შახტს ჩასძახებს, უტყვის გავლით,  
ერთხელ და გაბმით.

ისინი ნაყოფს მოისთვლიან შემოდგომაზე, ისინი ყურძენს  
დაწურავენ,  
დროს, ვით მის თვალს, გამოწურავენ,  
ნაჟურს, ნატირალს  
აყუჩებენ მზის საცხედრეში,  
ღამესავით მტკიცე ხელით რომ ამზადებენ:  
რათა სწყუროდეს მერე ბაგეს, მოგვიანებით –  
მას მიმსგავსებულ ბაგეგვიანურს:  
ბრმის შესახვედრად მორკალულ და დათრგუნულ ბაგეს,  
სასმელი სიღრმიე რომლისკენაც შექაფქაფდება,  
როს ცა ეშვება ჩაეშვება ცვილისფერ ზღვაში,  
რათა შორიდან, ვით სინათლის ნამწვი, ბრწყინავდეს,  
ტუჩები როცა სველდებიან ბოლოსდაბოლოს.

## TENEBRAE

აქვე ვართ, ღმერთო,  
ახლოს ვართ და ხელით საწვდომნი.

ღმერთო, ერთმანეთს  
უკვე ისე ვეჭიდებით, თითქოს  
შენი სხეულია თითოეული  
ჩვენთაგანის სხეული, ღმერთო.

ილოცე, ღმერთო,  
ჩვენ აქვე ვართ,  
ილოცე ჩვენთვის.

ქართრხეულნი ვისწრაფოდით,  
ვისწრაფოდით, ღარტაფთან და კრატერთან რომ  
დავხრილიყავით.

დასარწყულებლად ვვიდოდით, ღმერთო.

სისხლი იყო, სისხლი,  
შენ რომ დაღვარე, ღმერთო.

თვალს ჭრიდა იგი.

შენს ხატებას არეკლავდა ჩვენს თვალში, ღმერთო,  
თვალი და ბაგე განხვნილი და ცარიელი დაგვირჩა, ღმერთო.  
ჩვენ შევსვით, ღმერთო.  
სისხლი და ხატი, ამ სისხლში რომ ჰგვიებდა, ღმერთო.

ჩვენ აქვე ვართ,  
ილოცე, ღმერთო.

## ყვავილი

ქვა.

ქვა ჰაერში, მე რომელსაც დავედევნე.  
შენი თვალი, ამ ქვასავით ბრმა.

ჩვენ ვიყავით

ხელები და

წყვილადს ვზაპავდით, ვპოვებდით

სიტყვას, რომელიც ზაფხულს მალლა აუყვავა:

იგივე ყვავილი.

უსინათლოთა სიტყვა – ყვავილი.

შენი თვალი და ჩემი თვალი:

წყლისთვის

მზრუნველნი.

ზრდა.

გულისკედელ-გულისკედელ

ჩამოფურცვლილი.

და ერთი სიტყვაც, ამის მსგავსი, და უროები

დაიწყებენ სივრცეში რწევას.

## სითეთრე და სიმსუბუქე

ქვიშის ნამგალა დიუნები, აურაცხელი.

ქარის ჩრდილში, ათასჯერადი: შენ.  
შენ და მკლავი,  
რომლითაც შიშვლად შეგეზარდე, მე,  
დაკარგული.

სხივები. უხვად მოგვეფრქვევიან.  
ჩვენ ვფლობთ სინათლეს, ტკივილს და სახელს.

რაც გვამოდრავებს,  
სითეთრეა,  
რასაც ჩვენ ვცვლით,  
უწონადია.  
თეთრია და მსუბუქია:  
დაე, მიწვივ მოგზაურობდეს.

სიშორეები, მთვარესთან ახლოს, ისე, როგორც ჩვენ.  
ისინი კლდეებს აშენებენ, რომლებზეც მერე  
მოგზაური ეს სითეთრე დაილევება,  
ხოლო ისინი აშენებენ  
ისევ და ისევ:  
სინათლის ქაფით და შხეფებით სავსე ტალღებით.

ეს მოგზაური სინათლეა, კლდეებიდან მანიშნებელი.  
ის უხმობს  
შუბლებს,  
ასარეკლად რომ გვათხოვეს,  
სწორედ იმ შუბლებს.

შუბლები.

იქით მივსრიალებთ ჩვენ მათთან ერთად.  
და ამ შუბლთა სანაპირონი.

შენ გბინავს?

ძილი.

კვლავაც ირჯება ზღვის წისქვილი,  
ყინულივით ნათელი და გაუგონარი,  
ჩვენივ თვალებში.

## თოვლის საწოლი

თვალნი, სინათლეწართმეულნი, შავი ჭირის მთათა კალთებში: აი,  
მოვდივარ,  
გულში მტკიცედ ამოზრდილი.  
აი, მოვდივარ.

კედელი მთვარის სარკის, ირიბი. დაქანებული.  
(გაელვარება, დალაქული სუნთქვის ლაქებით. აქა-იქ – სისხლი.  
სული, ღრუბლებში გახვეული, კიდევ ერთხელ თითქმის და  
ფორმა.  
ჩრდილი, ბრჭყალებში მოქცეული, ათივე თითის.)

თვალნი, ქვეყანაწართმეულნი,  
შავი ჭირის მთათა კალთებში,  
თვალნი და თვალნი, ისევ და ისევ:

თოვლის საწოლი ჩვენ ორს ქვემოთ, თოვლის საწოლი.  
ულევი ბროლი,  
ღროღრმივ დაგისოსებული, ვვარდებით და  
ვვარდებით და ვწევართ, ვვარდებით.

და ჩვენ ვვარდებით:  
ვიყავით და ვართ.  
ჩვენ ვართ ერთხორც ღამესთან ერთად.  
გასასვლელელებში, გასასვლელელებში.



## შ ა მ მ

ზრეში და ჩამონაზრეში და ნამსხვრევების სუსტი ჩქამი,  
მსგავსი ჟამთა ნუგეშინისა.

თვალთაცვალება, უდროო დროს, ბოლოსდაბოლოს,  
ხატშეუცვლელი,  
გახევებული  
თვალის ბადურა - :  
ნიშანია მარადისობის.

მოაზრებადი:  
შორ სიმაღლეში, სამყაროს მართვის ბერკეტები,  
ვარსკვლავის მსგავსი,  
სიალისფრე ორთა ბაგეთა.

მოსმენადი (ალიონზე?): ქვა,  
რომელიც მეორე ქვას ღამიზნებია.

## სეზი

მაგიდა, ჟამთახისგან ნაკეთი,  
ბრინჯი და ღვინო.  
თანხლებული  
მღუმარებით, მირთმევით, შესმით.

ხელი, რომელსაც ვეამბორე,  
უნათებს პირებს.

## ლანდშაფტის ჩანახატი

ოვალური საფლავეები, ქვევით. ოთხტაქტში  
წელიწადების სვლისა ზემორე  
საფეხურდაცერებულთა ირგვლივ.

ლავა, ბაზალტი, სამყაროსგულ-  
განმჭოლმხურვალე ქანები მთისა.  
თავწყაროსტუფი,  
შუქი სადაც გვეშურებოდა, წინმსწრები  
სუნთქვის.

ზეთისხილისფრად, ზღვამჭოლმტკრიანი იგივე  
ჟამი ხელშეუხები. მიმართული  
ცენტრისკენ, ლეგა,  
ქვისუნაგირა, ზემორე მისა,  
დანახშირებულ-დაკოპებული,  
ნიშაელვარე  
შუბლი მხეცისა.

## პიჭროდწარმართვა

\*

მონაწევარია  
ალაგსა შინ  
იმავე უტყუარი ნაკვლევით:

ბალახი, ურთიერთშორიშორჩაწერილ. ქვანი, თეთრნი,  
ღეროთა ჩრდილებით:  
არლა წაიკითხო – მოიხილე!  
არლა მოიხილო – დაემართე!

ვიდოდე, შენსა ჟამს  
არა ჰყავს დებიცა. შენ მყოფობ –  
შინ მყოფობ. ბორბალი, ნელინელ,  
თავისა თვისისგან იბრუნვის, მანანი  
ცოცვიან,  
ცოცვიან მოთალხო მინდორზე, ღამე  
ვარსკვლავთ არ მოისაკლისებს, არსად  
არავინ მოგიძიებს.

\*

არსად  
არავინ მოგიძიებს –

ადგილს, ისინი სადაც იწვნენ, მას უვის  
სახელი – არცა რა  
სახელი. ისინი იქ არცა წოლილან. რაღაცევე  
მათ შორის წოლილა. ისინი

არ განმჭოლუჭვრეტდნენ.

არ ჭვრეტდნენ, არა,  
მეტყველებდნენ  
სიტყვებზე. ერთიც  
არ გამოფხიზლებულა, იგივე  
ძილი  
მათზედ გარდმოვიდა.

\*

ვიდოდა, ვიდოდა. არსად  
მოგიძიებს –

მე, მე ვარ,  
მე ვიწექ თქვენს შორის, ვმყოფობდი  
განხვნილი, ვმყოფობდი  
სმენადი, მე შემოგწიკწიკებდით, თქვენს სუნთქვას  
მივაყურადებდი, მევე  
ვარ ეს ჯერაც, თქვენ  
გძინავთ ღიახაც.

\*

ვარ ჯერაც ჟამიერ –

წლები.  
წლები, წლები, ეგ თითი  
მიმოჩხვერს ზე-და-ქვე, მიმოჩხვერს  
მი-და-მო:  
პირაპირები ნაწიბურის, შეგრძნობადი, აქ

დაშორიშორდნენ ერთმანეთს, აქ  
შეეზარდნენცა ურთიერთს კვალადვე – ვინ  
მიმოაფარა?

\*

მიმოაფარა  
ვინ?

ვიდოდა, ვიდოდა.  
ვიდოდა სიტყვა, ვიდოდა,  
ვიდოდა განმჭოლი ღამისა,  
ჰსუროდა ნათება, ჰსუროდა ნათება.

ფერფლი.  
ფერფლი, ფერფლი.  
ღამე.  
ღამით-ღამე. – დაემართე  
თვალსა, ცრემლიანსა.

\*

დაემართე  
თვალსა,  
ცრემლიანსა –

გრიგალნი.  
გრიგალნი, ოდითგან,  
ნაწევარნამქერი, სხვა იგი,  
შენ  
უწყი დიახაც, ჩვენ

წიგნში ამოგვიკითხავს, მყოფობდა  
თვალსაზრისი.

მყოფობდა, მყოფობდა  
თვალსაზრისი. როგორ  
წავეტანეთ ურთიერთს  
საწვდომად – საწვდომად ამ  
ჩვენი  
ხელებით?

დაწერილ იყო აგრეთვე, რომ.  
სად? ჩვენ  
ამას ზედა ღუმელს გავუწვდენდით,  
შხამნასგამს, ვეებას,  
იგივე  
მწვანე  
ღუმელი, ღუმფარა, კვლავ  
გამოკიდებოდა აზრი მცენარეულს –  
მწვანე, ღიახ,  
გამოკიდებოდა, ღიახ,  
თვალთმაქცი  
ზეცის ქვეშ.

იმასვე, ღიახ,  
მცენარეულს.

ღიახ.  
გრიგალნი, ნა-  
წევარნამქერი, შთენილიყო  
ჟამი, შთენილიყო  
ქვითურთ მცდელობისა – ის  
სტუმართმოყვარე იყო, ის  
არ ამეტყველებულა. რარიგ

სასიკეთოდ გვიჩნდა ყოველივე:

მარცვლოვანი,

მარცვლოვანი და ბოჭკოიანი. ღეროვანი,

მკვრივი;

მტევნოვანი და სხივკონოვანი; თირკმლოვანი,

გლუვი და

კოშტოვანი; დამთმობი, გან-

ტოტვილი —: იგი, ის

არ ამეტყველებულა, ის

ესიტყვებოდა,

ესიტყვებოდა მშრალ თვალებს ნებისად, ვიდრე არ დახუჭა იმანვე  
ისინი.

ესიტყვებოდა, ესიტყვებოდა.

მყოფობდა, მყოფობდა.

ჩვენ

არ დაგვითმია, ვიდრე

შუაგულ, იგივე

ფოროვანაღნაგი, და

ისიც მოვიდა.

ჩვენზე გარდმოვიდა, მოვიდა

განმჭოლი, კემსა

შეუმჩნევლად, მიაკემსა

აპკი საბოლოო,

და

უმაღლესი სამყარომ, ათასბროლიადმა,

იხუვლა, იხუვლა.



\*

იხუვლა, იხუვლა.

კვალადვე –

ღამენი, განრევილ. წრეები,  
მწვანე ან ცისფერი, წითელნი  
კვადრატნი: აგერა,  
სამყარო თავისავ შინაგანს ჩამოთესს  
თამაშში ახალ  
ჟამთა თანა. – წრეები,  
წითელი ან შავი, ნათელნი  
კვადრატნი, არცა რა  
ფრთოსანი აჩრდილი,  
არცა რა  
საზომი მაგიდა, არცა რა  
კვამლისული, აღფრენად და შეთანთამაშებად.

\*

აღფრენად და

შეთანთამაშებად –

მწუხრიჟამს, თანაერთ  
ქვადქცეულ კეთრის,  
თანაერთ  
ჩვენზე ოტებულ ხელთა,  
ნორჩ გადმონაფრქვევში,  
ტყვიაწინაღის მახლობელ  
ჩაშლილი კედლის  
თავს:



ნაკვლევით:

ბალახი.

ბალახი,

ურთიერთშორიშორჩაწერილ.)

*მთარგმნელის მინაწერი: ამ ლექსის წინამდებარე თარგმანი ეძღვნება  
ამავე ლექსის ბესიკ ადგიშვილისეულ თარგმანს (იხ. მისი წიგნი "ბოლო  
ლირიკა", თბილისი 2000, გვ. 149-155).*

\* \* \*

მიწა ჰკიებდა მათში, და  
თხრიდნენ.

თხრიდნენ და თხრიდნენ, და ილეოდა  
ასე დღე მათი, და ღამე მათი. არ აღიღებდნენ ისინი უფალს,  
ვისაც, სმენოდათ, ნებავდაო ეს ყველაფერი,  
ვინაც, სმენოდათ, უწყოდაო ეს ყველაფერი.

თხრიდნენ და უკვე არაფერი აღარ ესმოდათ;  
არც ბრძენკაცებად ქცეულან და არც სიმღერა მოუგონიათ,  
არ შეუქმნიათ ახალი ენა.  
მარტოდენ თხრიდნენ.

მოღვა სიწყნარე, მაგრამ მერე გრიგალიც მოღვა,  
მოზღვავებული იყო ყველა ზღვა.  
ვთხრი, თხრი, მატლიც თხრის,  
და, რაც იმღერს, იქ ამბობს: თხრიან.

ო, ვინ, ო, არც ვინ, ო, არვინ, ო, შენ:  
საით ვილოდა ის, არსაით რაიც ვილოდა?  
ო, შენ თხრი, მეც ვთხრი, ვიმარხვი შენსკენ,  
და ეღვიძება ჩვენს თითზე ბეჭედს.

\* \* \*

სიტყვა შესახებ სიღრმის-კენ-სვლისა,  
ჩვენ რომელიც ამოვიკითხეთ.  
წლებს ჩაუვლიათ მას მერე, სიტყვებს.  
ჩვენვე ვართ ისევ.

იცი, ეს სივრცე უსასრულოა,  
იცი, ფრენა სულ არ გჭირდება,  
იცი, სიღრმეს გვიღრმავებს ჩვენ ის,  
რაც შენს თვალში ეწერებოდა.

\* \* \*

ღვინოს და გაუჩინარებას, ამ  
ორივეს მინებებული:

მივაჭენებდი თოვლიანში, გესმის თუ არა,  
მივაჭენებდი ღმერთს შორეთში – ახლოეთში, იგი ძღეროდა,  
ეს იყო  
ჩვენი ბოლო ჯვრითი  
ადამიან-ბარიერთა თავს.

იკაკვებოდნენ, როს  
თავზემთ ჩვენ ჩავესმოდით, ისინი  
წერდნენ,  
მათგან მოსახულ  
ერთ-ერთ ენაზე  
მოჩხიბავდნენ ჩვენეულ ჭიხვინს.

## ციურისი, კაფე „ყარყატი“

ნელი ზაქს

მრავალზე იყო საუბარი, იყო  
მცირედზე. იყო „შენ“-ზე და  
„მაგრამ-შენ“-ზე,  
დაბინდვაზე ნათლისმთიერით,  
იმ ებრაულზე,  
იმ შენს უფალზე.

ამა-  
ზე.

ეს დღე ამალლების დღე იყო, მკვიდრად  
აღმართულიყო გაღმით ტაძარი, წყალზე  
ოქროდ მოლივლივებდა.

შენს ღმერთზე იყო საუბარი, მე ვმეტყველებდი  
მის წინააღმდეგ,  
ალვავესებდი გულს, რომელიც ჩემი იყო,  
იმედით  
მისი  
უმაღლესი, ნალაღადები,  
მომჩივანი მისი სიტყვისა –

მზერა მესროლა შენმა თვალმა, მერე მიგანა,  
თვალს გაესიტყვა  
შენი ბაგე, მე კი ჩამესმა:

ჩვენ  
ხომ არ ვიცით; იცი,  
ჩვენ  
ხომ არ ვიცით,  
რა  
სჯობს.

## სამიდან მესამე, ოთხიდან მეოთხე

ფურჩალა პიტნა, პიტნა ფურჩალა,  
მზემ რომ სახლის წინ ფრთა გაუშალა.

ეს დრო, შენი დრო, ნასათუთარი,  
ჩემს პირთან მისი ეს საუბარი.

ამ უტყვ ბაგესთან, დუმილთან ბაგის,  
სიტყვათა თანა, მთქმელთა უარის.

ვიწროთა თანა და შორეულთა,  
ამ დასასრულთა – ახლოეულთა.

მხოლოდ ჩემთან და მხოლოდ ჩვენ სამთან,  
წილად ფსკენილ, წილად თავისუფალთან.

ფურჩალა პიტნა, პიტნა ფურჩალა,  
მზემ რომ სახლის წინ ფრთა გაუშალა.



\* \* \*

მერე რამდენი ვარსკვლავეთი,  
გამოწვდილი რომ არის ჩვენთვის. მე ვიყავ,  
როცა შემოგხედე – მერედა, როდის? –,  
გარეთ  
სულ სხვა სამყაროებთან.

გალაქტიკურნი, ო, ეს გზანი,  
ო, ეს ჟამი, ჩვენ რომელმაც  
ღამეები ჩამოგვივსო  
ტვირთში ჩვენი სახელებისა. განა როდია,  
მე ეს ვიცი, მართალი, თითქოს  
ჩვენ გვიცხოვრია, ბრმაღ  
განვლო სუნთქვამ ერთადერთმა  
იქ-სა და არა-აქ-სა და ჟამით-ჟამამდე-ს შორის,  
თვალი, ჩამქრალის მიმართულებით, ხეობებში,  
კომეტისებრ წუილით ქროდა,  
იქ, სადაც იგი ჩაინაცრა, იღვა  
ღრო ტუტუს კერტებივით მანათობელი,  
რომელსაც უკვე ზემოთ და ქვემოთ  
და მისგან შორსაც ეზრდებოდა იგი, რაც  
არის ან რაც იყო ან რაც იქნება –,

მე ვიცი,  
ვიცი და შენ იცი, და ჩვენ ვიცოდით,  
ჩვენ არ ვიცოდით, ჩვენ  
ვიყავით დიანაც აქ და სულაც არა იქ,  
და ზოგჯერ, როცა  
ოდენ არარა იღვა ჩვენს შორის, ჩვენ ვპოვებდით  
სავალს სრულად ერთმანეთისკენ.

\* \* \*

შენი

მიღმეთშიყოფნა ამ ღამით.

სიტყვებით ისევ დაგაბრუნე, შენ ახლა აქ ხარ,  
არის ყოველი ნამდვილი და – მოლოდინი  
იმ ნამდვილისა.

ჩვენი სარკმლის წინ

ლობო მაღლა-მაღლა მიცოცავს: ერთი იფიქრე,  
ვინ იზრდება ჩვენს გვერდით და  
ვინ უმზერს ამას.

ღმერთი, ჩვენ როგორც წაგვიკითხავს, არის  
ნაწილი და ის მეორე ნაწილიც არის, მიმოფანტული:  
სიკვდილში  
ყველა მოცელილისა  
შეეზრდება იგი თავის თავს.

იქით

მიგვიძღვის სწორედ მზერა,  
ჩვენ ვურთიერთობთ  
ამ  
ნახევართან.

\* \* \*

ორივ ხელისკენ, მეზრდებოდნენ  
სადაც ვარსკვლავნი, შორს  
ყველა ცისგან და ყველა ცის  
სიახლოვეს:

რა

სიფხიზლეა! რარივ  
გვეხსნება ჩვენ სამყარო, რარივ განმსჭვალავს  
ჩვენივე შუაგულს!

შენ იქ ხარ,  
სადაც შენი თვალია, შენ ხარ  
ზემოთ და შენ ხარ  
ქვემოთ, ვპოვებ  
გასასვლელს.

ო, მოყარიბე ცარიელი ეს  
შუაგული, სტუმართმოყვარე. მე ვწყდები და  
ვეცემა შენსკენ, ეცემა  
ჩემსკენ, და ერთმანეთს  
მოწყვეტილნი, ჩვენ ვხედავთ  
განმჭოლ:

ჩვენ  
დავუკარგავთ  
სწორედ  
იგივეს,  
სწორედ იგივეს  
დავევიწყებთ,  
სწორედ  
იგივეს  
ჩვენ - -

## თორმეტი ველი

მართლად-

შთენილ და მართლად-

ქცეულ სტრიქონთა რიგი: . . . და იგივე შენი

სახლი პარიზში – შენი ხელების

მსხვერპლშეწირვის ადგილად რომ გადაქცეულა.

სამჯერ ჩასუნთქვა,

მერე სამჯერ გამობრწყინება.

. . . . .

სიმუნჯეა საცნაური, სიერუკეა საცნაური

ამ თვალთა მიღმა.

მე ვხედავ შხამის ყვავილობას.

თითოეულ სიტყვაში, სატში.

წადი. და მოდი.

სიყვარული შლის თავის სახელს: შენ

მოგაწერს იგი თავის თავს.

\* \* \*

გაველი ყველა ჩემი ფიქრით  
სამყაროს გარეთ: იქ შენ გპოვებდი,  
ჩემო წყნარო, შენ, ჩემო ხსნილო,  
და – შენ მიგვიღე.

ვინ  
იტყვის, რომ ჩვენ ყველაფერი ამოგვიქრა,  
მაშინ, როცა თვალი ჩაგვემსხვრა?  
გამოიღვიძა ყოველივემ, ყოველივე ზეაიმართა.

ვეებერთელა მზე მოცურდა ლივლივით, ნათლად  
იღგნენ იქ მისი სული და – სული პირისპირ მისდა, და რა  
მიმთითებლურად გაუჩუმდნენ მას ისინი  
მისივ სავალზე. მკაფიოდ,

ციმციმ  
განიხვნა შენი წიაღი,  
და ეთერს მშვიდად შეერია ამონასუნთქი,  
და რაც მოღრუბლდა, განა, ეს ის არ იყო სწორედ,  
განა, ეს ხატი არ იყო და ჩვენგან არ იყო,  
განა, არ იყო  
ეს სწორედ ის, რაც სახელია?

\* \* \*

შემოდგომის უტყვი სუნები. იგივე  
ასტრა, გადაუმტყდარი,  
სამშობლოსა და უფსკრულს შორის  
შენივ ხსოვნის გავლით ვილოდა.

შენი თანმხლები იყო უცხო  
დაკარგულობა, მომხდარიყო  
თითქმის –  
გეცხოვრა.

## ფსალმუნი

არავინ არის მიწისგან და თიხისგან ჩვენი ხელმეორედ  
გამომბერწავი,  
არავინ განსჯის ჩვენს ფერფლს.  
არავინ.

დიდება იყოს შენი, არავინ.  
შენს გასახარად  
ყვავილობა მოგვსურვებია.  
შენსკენვე  
სწრაფვად.

ოდენ არარა  
ვიყავით და ვართ და  
ვიქნებით, მოყვავილუ:  
არარა და -  
არავისვარდი.

სულნათლიერი ბუტკოთი ჩვენით  
და ზეციურადუდაბური ამ მტვრიანათი,  
გვირგვინით ჩვენით, წითელქმნილით  
აღისფერ სიტყვით, ჩვენ რომ ვიმღერდით  
ო, ეკალსა,  
ეკალსა ზედა.

## ტიუზინგენი, იანვარი

თვალეზი, გადმო-  
ბირებული სიბრძავისაკენ.  
მათი – "ესერა,  
გამოცანა, არის წმინდად-  
გადმომხლტომარე", მათმიერნი  
მოგონებანი  
ჰოლდერლინის ცურვილთა კოშკთა, თოლიების-  
მიმოკვივილში.

დამხრჩვალ ღურგალთა სტუმრობანი  
ამ  
დაძირულ სიტყვათა თანა:

რომ მოსულიყო,  
მოსულიყო ადამიანი,  
რომ მოსულიყო სამყაროში ადამიანი,  
ნათელი წვერით  
უხუცესთა: იგი შეძლებდა,  
ამ დროებაზე  
მომეტყველე, იგი  
შეძლებდა  
მარტოდენ ლულულს, ოდენ ლულულს,  
კვლავ-და-კვლავ-  
ლულულს.

("პალაკჲ. პალაკჲ".)



## ქიმიური

მდუმარება, როგორც ოქრო, მოხარშული  
ქვანახშირად ქცეულ  
ხელებში.

ვეება, რუხი,  
ახლობელი, მსგავსად ყოვლისა, რაც განქარდა,  
ხატება ღისა:

ყველა სახელი, თანა-  
დამწვარი  
ყველა სახელი. საკურთხებლად  
რამდენი ფერფლი. რამდენი  
მიწა, მოპოვებული  
მსუბუქ, ასე მსუბუქ  
სულთა-  
წრეების  
თავზე.

ვეება. რუხი. ყოვლად უ-  
წილო.

შენ, მაშინ.  
შენვე, ფითრისფერი,  
შენვე, კოკრით, დაფლეთილით.  
შენ, ღვინის ჭავლში.

(განა მართალი არ არის, რომ  
ამ საათმა ჩვენც განგვიტყვა?  
კარგი,  
კეთილი, რარიც მოკვდა და მიინავლა აქ შენი სიტყვა.)

მდუმარება, როგორც ოქრო, მოხარშული  
ქვანახშირად, ქვანახშირად ქცეულ  
ხელებში.  
თითნი, მხრჩოლაენი, ვით გვირგვინნი, მათ გარშემო  
შარავანდენი - -

ვეებანი. რუხნი. უ-  
კვლონი. და  
ხელ-  
მწიფურნი.

## მანათობელი ხე

სიტყვა,  
რომელსაც მიგაკარგე სიამოვნებით:  
სიტყვა  
არასდროს.

ჰგებდა,  
და ეს შენც იცოდი ხანით-ხანამდე,  
რომ ჰგებდა  
თავისუფლება.  
ჩვენ მივცურავდით.

ისიც თუ იცი, რომ მე ვიმღერდი?  
მე ვიმღერდი მანათობელ ხესთან ერთად, საჭკესთან ერთად.  
ჩვენ მივცურავდით.

ისიც თუ იცი, რომ შენ ცურავდი?  
განხვნილი იწექ შენ ჩემს წინაშე,  
ჩემს წინაშე შენ იწექ, იწექ  
წინაშე  
ჩემი წინ-  
მხლტომი სულის.  
მე მივცურავდი შენთვის და ჩემთვის. არ მივცურავდი.  
ხე მიცურავდა მანათობელი.

მიცურავდა კი? აკი, ზანზარა  
ჰგებდა ირგვლივ. უსასრულო ტბორი ჰგებდა.  
კუბრისფერი და უსასრულო. ასე ეკიდა,  
ასე ეკიდა სამყაროს თავქვე.

ისიც თუ იცი, რომ მე ვიმღერდი?

ეს ღრეიფი –  
ო, ეს ღრეიფი.

არასდროს. თავქვე სამყაროისა. მე ვიმღერდი. განხენილი  
იწექ წინაშე ჩემი  
მესაჭე სულის.

## კატარი

სალამოჟამნი დაიმარხნენ შენი  
თვალის ქვეშ. და, ასე, ბაგით თავ-  
მოყრილი მარცვლები სიტყვის – მშვენიერი,  
უხმო სიმრგვალე –  
თანაუდგანან ვარსკვლავმცენარეს,  
მცოცავს მათი შუაგულკენ. ქვა,  
ოდესღაც რომ საფეთქლებთან ახლოს იყო, აქ აღმოხდება:

თანაერთ ყველა  
აფეთქებული  
მზისა, ჰგიებდი,  
სულო, ეთერში.

\* \* \*

ეს  
აღარ არის  
შენთან ერთად დროდადრო  
დროში დაძირული  
სიმძიმე. იგი  
სხვა სიმძიმეა.

ეს არის წონა, უკან მომტანი სიცარიელის,  
თანა-  
მგზავრი რომ იყო შენი.  
არ გააჩნია მას სახელი, ისე, როგორც შენ. შესაძლოა,  
თქვენ იყოთ ერთი. შესაძლოა,  
რომ შენც ერთხელ მიწოდო  
ასე.

## MANDORLA

ნუში – რა ჰგებს ნუშის გულში?  
არარა ჰგებს.  
არარა ჰგებს ნუშის გულში.  
ჰგებს და ჰგებს.

არარაში – მასში ვინ ჰგებს? მეფე იგი.  
იქ მეფე ჰგებს, მეფე იგი.  
იგი იქვე ჰგებს და ჰგებს.

კულულო იუდეველისა, არ გათეთრდები.

და შენი თვალი – შენი თვალი საით ჰგებს?  
შენი თვალი ჰგებს ნუშის საპირისპიროდ.  
შენი თვალი, იგი ჰგებს არარაის საპირისპიროდ.  
მეფისკენ ჰგებს.  
ჰგებს და ჰგებს.

არ გათეთრდები, ხალხის კულულო,  
მეფურადღურჯო, ნუშისა გულო.

\* \* \*

არავისად მიკრული ლოყით -  
შენად, სიცოცხლე.  
შენად, ხელის ნარჩენებით  
მიგნებულისად.

თითებო.  
შორით, ყარიბობით,  
ჯვარედინებზე, ხანად და ხანად,  
სულისძოთქმა  
თავისუფლად დაშთენილი ასოებითურთ,  
ოდესმე მტვრიან სასთუმალ-  
ზედა.

გახევებული მარავი გულის: იგივე  
მხრჩოლავე  
მსახური ნათლის და სიყვარულის.

ალი ნახეგარ  
სიცრუის ჯერაც  
არა ერთ ან ორ  
ღამემთეგარ იმ ფორაში,  
მას რომ ეხება.

მაღლითკენ ჩქამი საკეტისა,  
სუნთქვის-  
ხეში ზემორე თქვენდა:  
უკანასკნელი  
სიტყვა, თვალი რომელმაც გკიდათ,  
ჯერარს, ამიერ თავისშივე იყოს და დაშთეს.



.....

შენად მიკრული,  
სიცოცხლეო,  
მიგნებულო ხელის ნარჩენით.

\* \* \*

ნათელნი  
ქვანი განვლიან ჰაერს, ნათელ-  
თეთრნი; ნათლის-  
მომტანნი.

სურთ  
არ დაეშვან, არ ჩაიქცნენ,  
და არ გახდნენ მოხვდრილები. და მიიწევენ  
მალლა,  
უმცირეს  
ასკილთა მსგავსად, განიშლებიან,  
მოლივლივებენ ისინი  
შენსკენ, ჩემო წყნარო,  
ჩემო ნამდვილო -:

მე გხედავ, შენ მათ აგროვებ ჩემი  
ახალი, ჩემი  
ნებისმიერკაცისხელებით, შენ მათ ათავსებ  
მორიგ-ნათელში, რომელსაც არვინ  
არც სატირლად და არც სახელის დასარქმევად არ საჭიროებს.

## ანაბაზისი

ეს  
გალავენებს შორის ვიწროდ ჩაწერილი  
უგზოდ-ჭეშმარიტი  
მალივ და უკანვე  
გულნათელ მერმისში.

იქ.

მარცვალ-  
ტალღამჭრელი, ზღვისმიერ-  
ფერები, შორ  
მოუცურველში ერთობ.

მერე:  
ტივტივების-,  
გლოვისტივტივების-მესერი  
თანაერთ  
წამიწამადლამაზად მხლტომარე  
სუნთქვისრეფლექსების -: ციმციმ-  
ზანზალაკთაბგერება(დუმ,  
დუნ-, უნ-,  
*unde suspirat*  
*cor*),  
და-  
ნარჩუნებული, შე-  
ნარჩუნებული, ჩვენი.

ხილვადი, სმენადი, იგივე  
თავისუფალ-  
ქმნადი კარვისიტყვა:

ერთობა.

\* \* \*

სატყორცი ვოხი, სუნთქვის გზებზე,  
ასე ყარიბობს იგი, ფრთა-  
მძლავრი, ივივ  
ნამდვილი,  
ვარსკვლავთ-  
სავალზე, სამყაროთა-  
ნამსხვრევებით ნაამბორები, დროის-  
მარცვლებით დანაჭდევი, დროისმტვრით, თანა-  
დაობლებული თქვენთან ერთად,  
ლავის ნამსხვრევნო, განა-  
წევრები, განმისხლული, გან-  
ქარწყლებული,  
გატანილი და განაგდები,  
გარითმული საკუთარ თავთან, -  
ასე ბრუნდება  
გაფრენილი, ასე ბრუნდება იგი  
კვლავ და შინ,  
სულ რაღაც ერთი გულისცემით, რაღაც ერთი ათასწლეულით  
შიგნივდამდგარი, ვით  
ერთადერთი მაჩვენებელი ისარი იმ წრის,  
რომელიც სულმა,  
რომელიც მისმა  
სულმა აღწერა,  
რომელიც არის  
იმავე  
სულით  
გადანომრილი.

## დღისით

დაბამბული ცა. ისევ და ისევ  
მკაფიო ფრთა ირჯება წერად.

მეც, გაიხსენე,  
მტკრის-  
ფერი, მოველ  
ვითარცა წერო.

\* \* \*

უფლება გაქვს, თოვლით  
მშვიდად გამიმასპინძლდე:  
ყოველთვის, როცა თუთის მზარდამზარ  
განვეკლიდი ზაფხულს,  
ისმოდა მისი უკანასკნელი  
ფოთლის ყვირილი.

\* \* \*

Von Ungeträumten geätzt,  
wirft das schlaflos durchwanderte Brotland  
den Lebensberg auf.

Aus seiner Krume  
knetest du neu unsre Namen,  
die ich, ein deinem  
gleichendes  
Aug an jedem der Finger,  
abtaste nach  
einer Stelle, durch die ich  
mich zu dir heranwachen kann,  
die helle  
Hungerkerze im Mund.

\* \* \*

არდასიზმრულის მიერ ნადევნი,  
თხრის დაუძინრად გზისგამლევი პურისქვეყანა  
მთას სიცოცხლისას.

შენ მისი პურის რბილობიდან  
ახლად გამოსრეს ჩვენს სახელებს,  
რომლებსაც მე,  
შენი  
თვალის ალი-კვალი თვითეულ თითზე,  
ვუსინჯავ  
ადგილს, რომლის გავლითაც  
შემიძლია ვიფხიზლო შენსკენ  
ნათელ  
შიმშილის კელაპტრით პირში.



\* \* \*

კარის ღრეჩოში  
ორნატებში ზეციური მონეტისა  
შენ ტენი სიტყვას,  
რომელიც მე მოვაშანდაკე,  
მოცახცახე ჩემი მუშტებით  
როცა ჩვენს თავზე სახურავი  
ავამტვრიე, კრამიტ-კრამიტ,  
მარცვალ-მარცვალ, იქ, მაღლივ, სილატაკის-  
ნაჭუჭის სპილენძისებრ-  
ციალის  
გამო.

\* \* \*

მდინარეებში ჩრდილოეთით მერმისისა  
მე ვაგდებ ბადეს, შენ  
დაყოვნებით რომ ამძიმებ  
ქვათა მიერ წერილ  
ჩრდილებით.

\* \* \*

შენი გვიანი სახის წინაშე,  
მარტოდმარტო-  
მოარული შორის  
ჩემდაც შემცვლელ ღამეთა,  
მოვიდა რაღაც დასარჩენად,  
რაც ერთხელ უკვე ჩვენთან იყო,  
ფიქრის მიერ არ-  
შესებული.

\* \* \*

დარდსწრაფნი განმჭოლ,  
ჭრილობათა  
მოელვარე სარკესთან ჩავლით:  
აჰა, სიცოცხლის  
ორმოცი ხე დაცურდება, ქერქშემოცლილი.

ეულო აღმა-  
მცურავო ქალო, შენ  
ითვლი ყველას, თითოეულ მათგანს  
ეხები.

\* \* \*

რიცხვები, წნული  
ხატებთან სვედრის  
და უკუ-  
სვედრის.

ზედ შეგდებული  
თავის ქალა, რომლის  
უძილო ძილისპირ მიმო-  
ხლილი ჩაქუჩი  
მსოფლიო რიტმით  
განადიდებს ამ ყოველივეს.

\* \* \*

სავალნი შენი ხელის მტეენის  
ჩრდილთ-ნამსხვრევებში.

ოთხ-თითიანი-ორნატიდან  
აღმოვთხრი ჩემთვის  
გაქვავებულ ლოცვა-კურთხევას.

\* \* \*

იღვე, ჩრდილში  
ჭრილობისა ჰაერსა შინა.

იღვე-არვის-თვის-და-არაფრის-თვის.  
შეუცნობი,  
შენთვისვე  
მხოლოდ.

ყოველივეთი, სივრცე რაშიც მოიპოვება,  
თუნდაც  
უენოდ.

\* \* \*

სიფხიზლის მიერ დაჩხვერილი შენი სიზმარი.  
თორმეტჯერადი სრახ-  
ნულით მისივ  
რქას ჩანაჭდევი  
სიტყვის ბეჭედი.

უკანასკნელი შეჯახება, მისგან მართული.

ფრი-  
ალო, ვიწრო  
დღისხეობაში ბიძგმიცემული  
ბორანი აღმით:

ის გამოწვლილვითწაკითხულის  
გადამტანია.



\* \* \*

ძაფისმზეები,  
ლეგაშავი უდაბნოს თავზე.  
ხე-  
მაღალი აზრი  
იკრებს სინათლის ბგერას: ჰკიებენ  
ჯერაც სიმღერები სასიმღეროდ იმიერ  
კაცთა.

\* \* \*

სიტყვის ნატანი, ვულკანური,  
ზღვის ყაშყაშით გარემოცული.

ზემორე  
მასა მონიაღვრე  
უბადრუკთა ნაშიერთა: მან  
ალამი ააფრიალა – ხატის და ასლის  
დროებაში ქედმაღლური გადაჯვარება.

ვიდრე შენ სიტყვის მთვარეს გარე-  
ტყორცნი, იქიდან  
მიქცევას უმზერს სასწაული  
და გულის-  
მსგავსი კრატერი  
შობს და შიშველია დასაწყისთა,  
მეფურ-  
არსთა ხილულსაქმნელად.

\* \* \*

გზამომანთული  
შენი ენის ელვარე ქართ  
ჭრელი უბნობა და-  
თმენილის – ას-  
ენისწვერა ჩემი-  
ლექსი, ეს არალექსი.

ამო-  
ბურღული,  
თავისუფლად  
გზა კაცთაგანის-  
სახოვან თოვლში,  
მონანიეთოვლში, მიმართ  
სტუმართმოყვარე  
ოთახთა და მაგიდათა, ყინულოვანთა.

ღრმად  
ჟამთაბზარში,  
ფიჭაყინულის  
თანაერთ  
იცდის, სუნთქვისბროლი,  
უეჭველი შენი  
სამხილი.

## ნაგსადგური

იგივ იარაპირმოკრული: სად-,  
შენც ჩემსავით რომ ყოფილიყავ, სულ-  
ამოხდილი ოცნებებით  
თავაშვებულ სუფრაზე შედგმულ  
არყითსავსებოთლისყელებზე

– შენ მომისართე,  
ზღვის კულულო, ხვედრად ჩემი ბედნიერება,  
შენ მომინოფე მრავლად ტალღა, კრულვაყომრალო,  
გზა გაიკვლიე  
ადულებულ წიაღში გავლით,  
ყინულოვანმწუხარკალამო –

სად-

ით

არ იყავ ხეტებული შენ ჩემთან ერთად,  
მერხებზე თუნდაც  
იმავე დედილო კლაუნენთან, მან კი დიახაც  
უწყის, რა ხშირად, ვით ჩაგმღეროდი  
მე შენ ყელამდე, ჰაიდიდელდე,  
მთელი თავისი ფოთლეულით, სამშობლოს თხმელა  
რარიგ მოცვლურჯი,  
ჰაიდუდელდი,  
შენ, ვით  
ფლეიტა ასტრალური  
მიღმეთიდან სამყაროსკიდის – და ესეც იყო,  
ჩვენ ვცურავდით, დედიშობილა, ვცურავდით ასე  
იმავე უფსკრულლექსს,  
ხანძრისფრადწითელ შუბლზე დაჭდეულს – ჩაუქრობლად  
მიიკვალავდა

თავის გზებს სიღრმის-  
წიად მომწყდარი ოქრო მალლითკენ –,

აქ,  
დაბერილი იალქნებით,  
ჩაიქროლებდა მოგონება აგრეთვე ამის, ნება-ნება  
როკდნენ ხანძრები, გან-  
წვალული, შენ,  
განწვალული ზემორე  
ორივ შავ-  
ლურჯი ხსოვნის-  
კარჭაპზე,  
თუმცა ბიძგმიცემული აგერვე ახლაც  
ათასი-  
მკლავით, რომლითაც მე შენ გაკავებდი,  
გადავვარული, ვარსკვლავგანატყორცნ-ბუნაგთა მიღმა,  
ჩვენივე ჯერაც მიწყვი მთვრალი, დაწაფებული,  
სამყაროსკიდის ბაგეები – სახელვდებ მათვე მხოლოდ და  
მხოლოდ –,

ვიდრემდე მიღმეთს დრომონახვესულ საათისკოშკზე  
ჩაიცვლებოდეს უხმაუროდ ბუდის და რიცხვთა  
ეგ საფარველი – ქიმერლოკი,  
მიმომცურველი,  
განსამყაროულ-თეთრადქმნილი  
ასოები მაღალ ამწეთა  
წერენ არსახელს, ზემორე რომლის  
სასიკვდილო ნახტომისკენ მიბობლავს მაინც იგივე  
ცხოვრება საზიდავი,  
ამოსახაპად  
რომელიც ერგოთ შუაღამისად  
საზრისად-  
ხარბ წინადადებებს,

მისკენვე

ტყორცნის ნებტუნის ცოდვა ხორბლის-  
არყისფერ საბუქსირო თავის ბაგირსაც,

გარემოცვაში

თორმეტ-

ტონიან სიყვარულისადმოხმთანექერქეჭელების

– ხოლო ოდესმე ჭისჯალამბრის, და შენთან ერთად

იგი იმღერს აწ აღარ გუნდში

ზღვასმომწყდარი ქვეყნიერების –

მოირწევინ როკვით შორიდან,

ოდესიდან, შუქურგემები,

აი, ნიშნული პლატფორმისა,

რომელიც, ჩვენი ერთგული ტვირთი, ჩვენთან ერთად ჩაიძირება,

სარკასტობს ყველას და ყველაფერს

ქვემო-ზემორე – რატომაც არა? იგივე იარაპირშეკრული, ან სად-

ან როდის –

და ვჩნდებით, ვქრებით და ისევ ვჩნდებით.

## COAGULA

აგრეთვე შენი  
ჭრილობა, ვარდო.

და რქების შუქი იმავე შენი  
რუმინული კამეჩებისა  
ვარსკვლავის ნაცვლად  
ქვიშასაგებ-ზე,  
მეტყველ, აღისფერ-  
ფერფლისამებრძლიერ  
კოლბა-ში.

\* \* \*

პასექის კვამლი, მაღლამსრბოლი, შიგან ნაგზევით  
ასოთამსგავსად  
კლაქნილი ღერძის.

(არასოდეს ყოფილა ზეცა,  
თუმცა ზღვა არის ჯერაც, ცაცხლოვანმეწამული,  
ზღვა.)

ჩვენ აქ ვართ, ჩვენვე,  
გამოღწევით მოხარულნი, კარვის წინარე,  
სადაც შენ თანამოყარიბე ენით აცხობდი  
პურს უდაბნოთა.

მზერის კიდეზე: ცეკვა  
ორი ორლესულის,  
გულისჩრდილის ბაგირსა ზედა.

ქვეშით კი ბუდე, მოწნული  
აზრთა-  
ბოლოებით — რომელ  
სიღრმეში?

იქვე: გროშები მარადისობის,  
დახრული, ჩვენდა  
ყულფის გამწვოლ შემონთხეული.

ჩქამი ქვიშისა სამი, სამი  
მორიელი:  
სტუმარხალხი, ჩვენთან ერთად  
ერთ ნავსა შიდა.



\* \* \*

ქუხილი: თავად  
ჭეშმარიტებამ  
შეაბიჯა  
კაცთა შორის,  
მეტაფორათქარბუქის  
შუაგულ.

\* \* \*

ლიხტენბერგისგან ნამემკვიდრევი  
ხელსახოცი თორმეტი, სუფრა –  
პლანეტებისგან დღეგრძელობა  
ენის კოშკების, ირგვლივ  
მკვდრისებურდაღუმებულ ნიშანთ-  
ზონაში.

ყოფნისადმისდა

– არა ჰგებებს ზეცა, არც  
მიწა, და ორივე  
ხსოვნა ჩამქრალია  
ვიდრემდე იმავ  
იფანსმინლობილ სინეგოგამდე –,

მისადვეყოფი,  
ქალაქყრილით თავმოყრილი  
თეთრი კომეტა.

ნაპრალი ხმისა, მისი  
მფარველი,  
ყოველივეში.

ძოწისფერადდაკარგული  
აზრთა-  
დაფისა. ხმამალლივ-  
ქმნილნი მოთქმანი  
ამის ზემორე, მოთქმა  
ქვემორე ამის – ვისი  
ხმა იგი?

ამითვე – ნულა იკითხავ,  
თუ სად –  
რომ ვყოფილიყავ თითქმის –  
ნუ იტყვი სად, როდის, კვლავაც.

## GIVE THE WORD

ტვინში ნაცემი – სანახევროდ? იქნებ, სამი მეოთხედით? –,  
გასცემ, ბინდიდან თავდასხნილი, პაროლებს – ამათ:

„თათართისრები“.

„ხელოვნური პიურე“.

„სუნთქვა“.

მეცხადებიან ერთიანად, არ მოაკლდება არა კაცი და არა ქალი.  
(თვით სიბმეტყველნიც აქ არიან და წინასწარბილებიც – აქვე.)

მეცხადება ადამიანი.

ცრემლი შენს გვერდით, დედამიწისვაშლისსიდიდე,  
განმჭოლნახმაურ, განმჭოლნამგზავრ  
პასუხის მიერ,

პასუხისა,

პასუხისა.

გახვრეტილი განმჭოლ – ვის მიერ?

„ხდება“, შენ ამბობ,

„ხდება“,

„ხდება“.

ჩუმი კეთრი გწყდება სასიდან  
და შენი ენის წვერი ნათელს მოიკრებს,

ნათელს.

\* \* \*

ერთხელ,  
მე ვიყავ მოყურადე,  
ის, უხილავი,  
სიმართლეს გამბობ,  
მთელი ღამე სამყაროს ბანდა.

ერთი და დაუსრულებელი,  
ნაცარტუტადშთენილი,  
შთენა.

იყო ნათელი. და – გადარჩენა.

\* \* \*

მომოხმარში, მსგავსად ჩვენი დასაწყისისა,  
ღარტაფში,  
სადაც შენ მე პერგე,  
მე ისევ ვქოქავ, მას,  
მუსიკალურ იმ ზარდახმას – შენ  
ეს იცი: იმ უხილავს  
ღა  
გაუგონარს.

## LYON, LES ARCHERS

რკინისისარი, მოწვართული,  
აგურის ნიშში:  
მომიჯნავე-ათასწლეული  
გარეშექმნილა, უძლეველი,  
უთვალთვალეს  
შენს მეგზურ თვალეს,

ამიერ,  
წილნაყარი მზერებით,  
ალეიბე იმას, მომიჯნავე ვინც არის შენი,  
იგი ხდება უმძიმესი,  
უმძიმესი,

და შენც, ყველაფრით,  
რაც გარეშედ ქცეულა შენში,  
ხდები გარეშე,  
სიღრმისეული,

ის ერთი  
ლარი  
ჭიმავს კუთვნილ ტკივილს თქვენს ქვემოთ,

მიზანი, უკვლოდ განმქვრეული,  
ელვარებს, მშვილდი.

\* \* \*

შენ იყავი ჩემი სიკვდილი:  
შეძებლო შენი შეკავება,  
მისხლტებოდა როცა ყოველი.



## ირლანდიური

მომეც უფლება, განვვლო  
ხორბლის საფეხურები შენი ძილისკენ,  
უფლება – განვვლო  
ძილის გზაწერილი,  
უფლება – ტორფის დატეხვა შევძლო  
ციცაბოზე გულისა,  
ხვალვე.

\* \* \*

ნამი. ხოლო მე შენთან ვიწუქ, შენ, ნაგავში,  
მონამქრული მთვარე  
უხვად გვაყრიდა პასუხს,

ჩვენ ერთურთს განვენამცეცებოლით,  
კვლავ ერთ კოშტად ვიკვროდით მერე.

ღმერთმა გატეხა პური,  
პურმა გატეხა ღმერთი.

\* \* \*

ძალაუფლების, ძლიერების სამეუფონი.

მიღმა, ბამბუკში:

მყევავი კეთრი, სიმფონიური.

ვინსენტისგან ნაჩუქარმა

ყურმა

მიზანს უწია უკვე.

\* \* \*

მიაჭენებდა ღამე, ის კი გონს მოსულიყო,  
ხოლო მის დროშად ქცეულიყო ობლის ფარაჯა,

არავითარი მცდარი გეზი,  
უშეცლომო იყო უკვე მისი ჭენება -

რალაც ისეთი, რალაც ისეთი,

თითქოს კვილოში ფორთოხლები  
იზრდებიანო,

თითქოს არ ცმოდა არაფერი გაჭენებულს,  
გარეშე მისი,  
ღედის მუცლიდან მოყოლილი, სა-  
იდუმლოდდახალული  
პირველი  
კანის.

\* \* \*

ჩემში თავს როგორ გადაიშენებ:

ჯერაც ისევ უკანასკნელ,  
გამოცრეცილ  
ნასკვში სუნთქვისა  
რალაც ნამსზვრევით  
ჩაჩრი  
სიცოცხლეს.

\* \* \*

მე ჯერაც ძალშიძს შენი დანახვა: ექოსი,  
მონელთებადისა გრძნობად-  
სიტყვებით, სწორედ რომ დამშვიდობების-  
ქიმზე.

წყნარად ფრთხის შენი სახე,  
ანაზღად  
განათებული, ვით ნათურა,  
ჩემში, იქ, სადაც  
ამბობენ უმტკივნეულეს “არა”-ს.

\* \* \*

მარადისობებს მის სახეში  
ედოთ სავალი და უფრო  
მეტეც,

ნება-ნება შლიდა ხანძარი  
ყოველივე ამოსანთლებულს,

სიმწვანე, არა აქაური,  
შედინლავდა ნიკაპს  
იმ ქვისა, ობლები რომ  
მარხავდნენ და ისევ  
მარხავდნენ.

\* \* \*

დამშვიდობებით დაფოთლილი ირლანდიელი  
ასული შენს ხელს  
უსწრაფესი  
სისწრაფით განჩხრეკს.

და შეეზრდება მისი მზერის სილურჯე შენს ხელს,  
წაგება და მოგება  
ერთხმად:

შენ,  
სიშორე  
თვალთათითური.



\* \* \*

დამდგარი წელი  
ბოლღვისპურის  
ობზოდებულ ყუებთან ერთად.

შესვი  
ჩემი ბაგეებიდან.

## შენახეთ

## მერიდიანი

სიტყვა, წარმოთქმული გეორგ ბიუნენერის  
პრემიის გადაცემისას.  
დარმშტატი, 1960 წლის 22 ოქტომბერი.

ქალბატონებო და ბატონებო!

ხელოვნება, როგორც გასსოვთ, მარიონეტული, იამბურ-ხუთტერფიანი და – ეს თვისება, პიგმალიონს და მის ქმნილებას თუ დავიმოწმებთ, მი-  
თოლოგიითაც განმტკიცდება, - უშვილო არსებაა.

ამ სახით წარმოსდგება იგი, როგორც ამა თუ იმ ოთახში, თუმცა არა Conciergerie<sup>1</sup>-ში, საუბრის საგანი, საუბრისა, რომელიც, როგორც ვხვდებით, შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო, მასში რომ არაფერი ჩარეულიყო.

მასში რაღაც ჩაერევა ხოლმე.

ხელოვნება ისევ ბრუნდება. ის ბრუნდება გეორგ ბიუნენერის სხვა თხზულებაში, "ვოიცეკში", სხვა, უსახელო ადამიანებს შორის და – ჩემს თავს თუ უფლებას მივცემ და მორიც ჰაიმანის<sup>2</sup> მიერ "დანტონის სიკვდილზე" ნათქვამ სიტყვას მიმართულებას შევუცვლი – კიდევ უფრო "უფერულ ჭექა-ქუხილის სინათლეზე". იგივე ხელოვნება გამოდის, თუნდაც ამ სულ სხვა დროში, ისევ წინა პლანზე, თაღლითის მიერ სა-  
ბაზროდ პრეზენტირებული, უკვე არა "მგზნებარე", "ბობოქარ" და "ელვარე" ქმნილებასთან დაკავშირებული, როგორც – აღნიშნული საუბრის შემ-  
თხვევაში, არამედ – უბადრუკი წარმონაქმნის და იმ "არარას" გვერ-

---

Paul Celan. Der Meridian. ნიგნში: Gesammelte Werke in sieben Bänden. Dritter Band. Frankfurt am Main, Suhrkamp Verlag 1983. გვ. 187-202.

დივერდ, რომლითაც ეს წარმონაქმნია "შემოსილი", - ამჯერად ხელოვნება მაიმუნის სახით ჩნდება, მაგრამ ეს იგივე ხელოვნებაა, ჩვენ ის მაშინვე ვიცანით, რადგან შუბი ხალთაში ვერ დაიმალება.

და ის – ხელოვნება – ბიუნერის მესამე ნაწარმოებითაც გვიბრუნდება, რომელსაც "ლეონსი და ლენა" ჰქვია. დრო და განათება აქ ჩვენ უკვე აღარ გვეცნობა, ჩვენ ხომ "სამოთხისკენ დევნილები" ვართ, "ყველა საათი და კალენდარი" მალე "დაიშვრევა" და, შესაბამისად, "აიკრძალება", - მაგრამ მანამდე კიდევ "ორივე სქესის ორი პერსონაჟი" შეძლის, "საქვეყნოდ ცნობილი ორი ავტომატი მოვიდა", და ადამიანი, რომელიც თავის თავზე გვაუწყებს, რომ ის "შესაძლოა მესამე და ამ ორიდან ყველაზე უფრო უჩვეულოა", "ზრჯილა ხმით" მოგვიწოდებს, რომ გაგვიკვირდეს ის, რაც ჩვენს თვალწინ არის: "არაფერი, გარდა ხელოვნებისა და მექანიზმისა, არაფერი, გარდა მუყაოს ხუფებისა და საათის ზამბარებისა".

აქ ხელოვნება ბევრად უფრო უხვად არის თანხლებული, ვიდრე – აქამდე, მაგრამ, ეს თვალში გვეცემა, იგი ტოლია ტოლთა შორის, ეს იგივე ხელოვნებაა: ჩვენთვის ნაცნობი ხელოვნება. – "ვალერიო", ეს მხოლოდ მაუწყებლის სხვა სახელია.<sup>3</sup>

ხელოვნება, ქალბატონებო და ბატონებო, იმ ყველაფერთან ერთად, რაც მას ეკუთვნის და დაერთვის კიდევ, პრობლემაც არის, სახელდობრ, როგორც ჩანს, გარდასახვის უნარით დაჯილდოებული, გამძლე და სიცოცხლისუნარიანი, მსურს ვთქვა: მარადიული.

პრობლემა, რომელიც მოკვდავს, კამილს, და – დანტონს, რომელიც მხოლოდ მისი სიკვდილით არის გასაგები, ერთმანეთის გვერდი-გვერდ სიტყვების განთავსების უფლებას აძლევს. კარგია ხელოვნებაზე საუბარი.

მაგრამ, როცა საუბარია ხელოვნებაზე, ისევ და ისევ არის ვიღაც, ვინც აქვეა და... დაუდევრად ისმენს.

უფრო ზუსტად: ვიღაც, ვინც ისმენს და ყურს უგდებს და ხედავს... და მერე აღარ იცის, რას ეხებოდა საუბარი. ის კი მოსაუბრეს უსმენს, ის "მოსაუბრეს ხედავს", მან ენა და სახე აღიქვა, ამასთან ერთად კი – ვინ შეძლებდა, ამ ნაწარმოების ფარგლებში, ამაში ეჭვის შეტანას? - ამასთან ერთად კი – სუნთქვაც, ანუ – მიმართულება და ბედი.

რა თქმა უნდა, თქვენ უკვე დიდი ხანია მიხვდით, რომ ეს ის არის, ვისაც ასე ხშირად ციტირებენ, რაც შემთხვევითი სულაც არ გახლავთ, და ის ყოველ წელს ხელახლა გსტუმრობთ – ლუსილი.

ის, რაც საუბარში ჩაერთო, ჯიუტად და გაბედულად მოქმედებს, ჩვენთან ერთად აღმოჩნდება რევოლუციის მოედანზე, "ოთხთვალეები ჩამოდგებიან და ადგილიდან აღარ იძვრიან".

ყველა თანამგზავრი აქ არის, ვერავის მოვისაკლისებთ: დანტონი, კამილი, სხვები. ყველა მათგანს აქვს, აქაც აქვს, სათქმელი, ხელოვნებით მდიდარი სათქმელი, და მათ ეს სათქმელი მიაქვთ ამ კაცთან, აქ საუბარია, ბიუნენერს ზოგჯერ ციტირების მეტი არაფერი სჭირდება, ერთობლივად სიკვდილის-კენ-სვლაზე, ფაბრს სულაც "ორჯერ" სიკვდილი სურს, თითოეული მათგანი მაღლდება, - მხოლოდ თითო-ოროლა ხმა, "ზოგიერთი" – უსახელო – "ხმა" მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი "ერთხელ უკვე მომხდარი და მოსაწყენია".

და აქ, სადაც ყველაფერი დასასრულს უახლოვდება, გახანგრძლივებულ წამებში, როცა კამილი – არა, არა ის, არამედ ერთი თანამგზავრთაგანი -, როცა ეს კამილი თეატრალურად – გული არ მითმენს, რომ არ ვთქვა: იამბით – იმ სიკვდილით კვდება, მისივე სიკვდილად რომლის აღქმასაც მხოლოდ ორი სცენის მერე, მისთვის უცხო – მისთვის ასერიგად ახლობელი – სიტყვით შევძლებთ, როცა კამილის ირგვლივ პათოსი და სასამართლო განაჩენი "თოჯინის" და "მოსაქაჩი ძაფის" ტრიუმფს ადასტურებენ, აქვეა ლუსილი, ხელოვნებისთვის ბრმა, იგივე ლუსილი, ვისთვისაც ენა რაღაც პიროვნულს და შევრძნობადს ფლობს, აქ კიდევ ერთხელ ჩნდება იგი, მოულოდნელ "მეფეს გაუმარჯოს!"-თან ერთად.

ტრიბუნაზე (სისხლიან ემაფოტზე) წარმოთქმული ამდენი სიტყვის მერე – სიტყვა და მერე როგორი სიტყვა!

ეს ანტი-სიტყვაა, ეს ის სიტყვაა, რომელიც "მოსაქაჩი ძაფს" წყვეტს, სიტყვა, რომელიც ქედს აღარ უხრის "დაყუდებულ ბუზიყლაპიებს და ისტორიის სააღლუმე ცხენებს", ეს თავისუფლების აქტია. ეს ნაბიჯია.

ცხადია, ეს ჟღერს – და იმის გათვალისწინებით, ამის შესახებ რის თქმასაც ახლა, ანუ დღეს, ვბედავ, არ არის შემთხვევითი –, ეს ჟღერს, უპირველეს ყოვლისა, როგორც "ancien regime"-ის<sup>4</sup> აღიარება.

მაგრამ აქ არ ცხადდება – ნება მიეცით ასევე პეტრე კროპოტკინისა და გუსტავ ლანდაუერის ნაშრომებზე გაზრდილ ადამიანს, ეს საზგასმით აღნიშნოს –, არ ცხადდება მოწიწება არც მონარქიის და არც გუშინდელი დღის კონსერვაციის წინაშე.

აქ მოწიწება ცხადდება ადამიანური საწყისის აწმყოს დამმოწმებელი უდიდებულესობის, აბსურდის, წინაშე.

ამას, ქალბატონებო და ბატონებო, არ გააჩნია ერთხელ და სამუდამოდ დარქმეული სახელი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს არის... თხზულება.

"ოჰ, ხელოვნება!" თქვენ ხედავთ, რომ მე კამილის ამ სიტყვას ვერ ვწყდები.

შეიძლება, და ამას სრულად ვაცნობიერებ, ამ სიტყვის ამგვარად თუ იმგვარად წაკითხვა, შეიძლება სხვადასხვაგვარი აქცენტის დასმა: თანადროულის მწვავედ აქცენტირება, ისტორიულის გრავისი – ლიტერატურულ-ისტორიულისაც –, ცირკუმპლექსი – სიგრძის ნიშანი – მარადიულის.

მე აქცენტს ვსვამ – სხვა არჩევანი არ მაქვს –, მე აქცენტს ვსვამ სიმწვავეზე.

ხელოვნება – "ოჰ, ხელოვნება": გარდასახვის უნართან ერთად, მას გააჩნია ყველგანყოფნის ნიჭიც –: ის გვხვდება "ლენცშიც", მასშიც – თავს უფლებას ვაძლევ, რომ ამაზე ყურადღება გავამახვილო –, ისევე, როგორც "დანტონის სიკვდილში", ეპიზოდურად.

"მაგიდასთან ლენცი ისევ კარგ ხასიათზე იყო: ლაპარაკობდნენ ლიტერატურაზე, ეს კი მის სფეროს წარმოადგენდა..."

"იმის შეგრძნება, რომ რაც იქმნება, სიცოცხლეს იძენს, ამ ორივეს აღემატება და სახელოვნებო საქმეში ერთადერთი კრიტერიუმი..."

მე მხოლოდ ორ წინადადებას მოვუხმე, გრავისთან დაკავშირებული არასუფთა სინდისი მიკრძალავს, რომ დაუყონებლივ არ გაუწყით ამის შესახებ, – ამ მონაკვეთს, ყველა სხვა მონაკვეთის უწინარეს, ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია, იგი "დანტონის სიკ-

ვლილიდან" უკვე ციტირებულ საუბართან ერთად უნდა იქნას წაკითხული, აქ გადმოცემულია ბიუნერის ესთეტიკური კონცეპცია, აქედან უკვე შეგვიძლია, ბიუნერისეული "ლენცის" ფრაგმენტთან გამომშვიდობებულები, რაინჰოლდ ლენცს<sup>5</sup> ვეწვიოთ, შემქმნელს ნაშრომისა "შენიშვნები თეატრზე", ამის მერე კი, ისტორიული ლენცის მერე, მამასადაძე, დაეუბრუნდეთ მერსიეს ლიტერატურული თვალსაზრისით ესოდენ მდიდარ "Elargissez l'Art"-ს<sup>6</sup>, ეს ადგილი თვალწინ გადაგვიშლის ხედებს, აქ არის წინსწრებული ნატურალიზმი, აქ არის წინსწრებული გერპარტ ჰაუპტმანი, აქ ბიუნერის პოეტური შემოქმედების სოციალური და პოლიტიკური ფესვებიც მოიძიება და მოიხილება.

ქალბატონებო და ბატონებო, ეს რომ აღუნიშნავი არ დავტოვე, თუმცა კი ამშვიდებს, დაე, მხოლოდ დროებით, ჩემს სინდისს, მაგრამ იმავდროულად იმასაც წარმოგიჩინო, ეს კი ხელახლა მიფორიაქებს სინდისს, იმასაც წარმოგიჩინო, რომ მე ვერაფრით ვთავისუფლდები რაღაცისგან, რაც მე ხელოვნებასთან დაკავშირებული მგონია.

მე მას ვეძებ აქაც, "ლენცში", - ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, ამაზე მიგანიშნოთ.

ლენცმა, ანუ ბიუნერმა, "ოჰ, ხელოვნება", ერთობ აბუჩადამგდები სიტყვებით დაახასიათა "იდეალიზმი" და მისი "ზის თოჯინები. ის მათ უპირისპირებს, და ამას მოჰყვება დაუვიწყარი სტრიქონები "უმცირესი ცხოვრების", "კრუნჩხვების", "მინიშნებების", "მინების ერთობ ნატიფი, შეუმჩნეველი თამაშის" შესახებ, - ის მათ უპირისპირებს ბუნებრივსა და ქმნილებისეულს. და ხელოვნებაზე ამ თვალსაზრისს ილუსტრირებულ-ჰყოფს შემდეგი შემთხვევის საშუალებით:

"როგორც გუშინ, ხეობის გასწვრივ აღმართს რომ მივეყვებოდი, ქვაზე დასკუპებული ორი გოგონა შევნიშნე: ერთი თმას იწნავდა, მეორე კი ეხმარებოდა; და ოქროსფერი თმა ჩამოშლილიყო, და მერე რარიგ სერიოზული ფერმკრთალი სახე ჰქონდა, არადა, როგორი ნორჩი იყო, და შავი კაბა ემოსა, მეორე კი როგორი ზრუნვით ირჯებოდა. ძველგერმანული სკოლის უმშვენიერესი, უღრმესი სურათები ამის ნასახსაც ვერ გადმოგვცემენ. ზოგჯერ გინდება, მედუნას თავი იყო, რათა ასეთი სანახაობის ქვად ქცევა შეძლო და ხალხს მოუხმო".

ქალბატონებო და ბატონებო, გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება: "სურვილი გინდება, მეღუზას თავი" იყო, რათა... ბუნებრივს, როგორც სწორედ ბუნებრივს, ხელოვნების საშუალებით ჩასწვდე!

თუმცა, ნათქვამია გინდება და არა: მინდება.

ეს არის ადამიანური საზღვრებიდან გასვლა, გაღწევა ადამიანურისკენ შემოქცეულ და საგანგაშო საუფლოში – იგივეში, რომელშიც მაიმუნის ხატიც, ავტომატებიც და ასევე... ოჰ, ხელოვნებაც, ჩანს, რომ თავს შინაურულად გრძნობენ.

ამას ისტორიული ლენცი არ ამბობს, ამას ამბობს ბიუნხერის ლენცი, აქ ჩვენ ბიუნხერის ხმა ჩაგვესმა: ხელოვნება მისთვის აქაც რაღაც საშინელს შეიცავს.

ქალბატონებო და ბატონებო, მე სიმწვავის ნიშანი დავსვი; მე იმდენადვე არ მსურს შეცდომაში თქვენი შეყვანა, როგორც ჩემი თავის მოტყუება არ მსურს, თითქოს ხელოვნებასთან და პოეტურ შემოქმედებასთან დაკავშირებული ამ კითხვით – სხვა კითხვებს შორის ერთ-ერთი კითხვით –, თითქოს ამ კითხვით ჩემივე, თუნდაც არანებაყოფლობითი, განზრახვით შევაბიჯე, რათა მისი კითხვები მომეჩხრიკა.

მაგრამ თქვენ ხომ ხედავთ: ვალერიოს "ხრჭიალა ტონის" ვერმოსმენა შეუძლებელია.

ეს, ალბათ, – ბიუნხერის ხმა მომიწოდებს ვივარაუდო – არის ძველი და უძველესი საშინელებები. მე რომ დღეს ასეთი დაჟინებით ვუტრიალებ ამ საკითხს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ ეს საკითხი ჰაერში ტრიალებს – იმ ჰაერში, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ.

ხომ არ არის – უნდა ვიკითხო ამჯერად –, ხომ არ არის გეორგ ბიუნხერთან, ქმნილების შემქმნელთან, შესაძლოა მხოლოდ ნახევრად გასაგონი, მხოლოდ ნახევრად გაცნობიერებული, მაგრამ ამის გამო სულაც არა ნაკლებ რადიკალური – ან სწორედ ამის გამო პირდაპირი აზრით რადიკალური – კითხვის ნიშნის ქვეშ დასმა ხელოვნებისა, ამ კუთხით კითხვის ნიშნის ქვეშ მისი დასმა? კითხვის ნიშნის ქვეშ დას-



მა, რომელსაც მთელი თანამედროვე პოეტური შემოქმედება უნდა დაუბრუნდეს, თუ მას კვლავაც კითხვების დასმა სურს? სხვა, ერთგვარად საკითხის წინმსწრები სიტყვებით: გვაქვს თუ არა უფლება, როგორც ეს ახლა მრავალგან ხდება, ამოსავლად გვქონდეს ხელოვნება, როგორც წინასწარი მოცემულობა და უპირობო წინასწარგანმსაზღვრელი; ჯერარს თუ არა, სავსებით კონკრეტულად რომ გამოვთქვათ, პირველ რიგში – ვთქვათ – მაღარმე თანმიმდევრულად ბოლომდე გავიაზროთ?

წინ გავიჭერი, გავცდი კიდევ – არც თუ ძალიან შორს, ვიცი –, ისევ ბიუნერის "ლენცს" ვუბრუნდები, ვუბრუნდები ეპიზოდურ საუბარს, რომელიც "მაგიდასთან" მიმდინარეობდა და რომლის დროსაც ლენცი "კარგ ხასიათზე იყო".

ლენცმა დიდხანს ილაპარაკა, "ხან – ღიმილით, ხანაც – სერიოზულად". და ახლა, როცა საუბარი დასასრულს მიუახლოვდა, აღნიშნულია მის შესახებ, მაშასადამე, იმის შესახებ, ვინც ხელოვნების საკითხებით არის დაკავებული, იმავდროულად კი – ხელოვანი ლენცის შესახებ: "იგი თავდავიწყებას მიეცა".

მე ვფიქრობ ლუსილზე, როცა ამას ვკითხულობ: ვკითხულობ: ის, თავად ის. ვისაც თვალწინ და გონებაში ხელოვნება უტრიალებს, ის – მე ლენცზე მონათხრობიდან გაუწყებთ –, ის თავდავიწყებულია. ხელოვნება მე-ს სიშორეს ქმნის. აქ ხელოვნება მოითხოვს განსაზღვრული მიმართულებით განსაზღვრულ დისტანციას, განსაზღვრულ გზას.

მაგრამ თხზულება? თხზულებასაც ხომ ხელოვნების გზა აქვს გასავლელი? მაშინ აქ მართლაც მედუნას თავისკენ და ავტომატისკენ სავალ გზასთან გვქონია საქმე!

მე გამოსავალს როდი ვეძებ, მე მხოლოდ კითხვას ვსვამ, იგივე მიმართულებით, და, აგრეთვე, დარწმუნებული ვარ, ლენცის ამ ფრაგმენტით განსაზღვრული მიმართულებით განვაგრძობ სვლას.

შესაძლოა – მე მხოლოდ კითხვას ვსვამ –, შესაძლოა თხზულებას, ხელოვნების მსგავსად, თავდავიწყებულ მე-სთან ერთად საშინელისკენ და უცხოისკენ უდევს სავალი, და იქ – მაგრამ სად? მაგრამ რომელ ადგილას? რა გზით? როგორც რა მოცემულობა? – ისევ გამოთავისუფ-

ლებას ელის?

მაშინ ხელოვნება თხზულების მიერ უკანვე გამოსავლელი გზა ყოფილა – არც მეტი და არც ნაკლები.

მე ვიცი, არსებობს სხვა, უმოკლესი გზები. მაგრამ ზოგჯერ ზომ თხზულებაც გვისწრებს წინ. *La poésie, elle aussi, brûle nos étapes.*<sup>7</sup>

მე ვემშვიდობები თავდავიწყებულს, ხელოვნებით დაკავებულს, ხელოვანს. ლუსილის სახით, როგორც ვირწმუნე, თხზულების პირისპირ აღმოვჩნდი, და ლუსილი ენას ლებულობს, როგორც ხატს და მიმართულებას და სუნთქვას – აქაც, ბიუხნერის ამ თხზულებაშიც, მე ვეძებ თავად ლენცს, მე სწორედ მას ვეძებ – როგორც პიროვნებას, მე მის ხატს ვეძებ: თხზულების ადგილის, გამოთავისუფლების, ნაბიჯის გულისთვის.

ბიუხნერის "ლენცი", ქალბატონებო და ბატონებო, ფრამენტულად არის შემორჩენილი. უნდა გამოვიკვლიოთ თუ არა ისტორიული ლენცი იმის გასაგებად, თუ რა მიმართულებით ჰქონდა გეზი აღებული ამ მუნჯოფიერებას?

"საკუთარი მუნჯოფიერება მისთვის იყო აუცილებელი ტვირთი. – ასე განაგრძობდა იგი სიცოცხლეს..."

აქ წყდება მოთხრობა.

მაგრამ თხზულება ზომ ცდილობს, როგორც ლუსილი, ხატის საკუთარი მიმართულებით დანახვას, თხზულება წინმსწრებია. ჩვენ ვიცით, საით ცხოვრობს ლენცი, როგორ *გრძელდება მისი სიცოცხლე*.

"სიკვდილი", როგორც 1909 წელს ლაიპციგში იაკობ მიხაელ რაინჰოლდ ლენცის შესახებ გამოქვეყნებულ ნაწარმოებში ვკითხულობთ – ის მოსკოველი პრევატდოცენტის მ. ნ. როზანოვის კალამს ეკუთვნის –: "სიკვდილს, როგორც მხსნელს, არ დაუხანებია. 1792 წლის 23 ადა 24 მაისს შორის, ღამით, ლენცი მოსკოვის რომელიღაც ქუჩაში მკვდარი იპოვეს. ის მავანი დიდგვაროვნის მიერ გაღებული ხარჯებით დაკრძალეს. მისი უკანასკნელი განსასვენები უცნობი დარჩა".

ასე განაგრძო მან სიცოცხლე.

ის: ნამდვილი, ბიუხნერის ლენცი, ბიუხნერის მიერ შექმნილი ხატი, პერსონა, რომლის აღქმაც მოთხრობის პირველივე გვერდიდან შეგვეძლო,

ლენცი, რომელიც "20 იანვარს მთაში წავიდა", ის – არა ხელოვანი და ხელოვნების საკითხებში ჩაღრმავებული, ის – როგორც მავანი "მე".

იქნებ, იმ ადგილსაც მივაგნოთ, სადაც უცხოეთი იყო, ადგილს, სადაც პერსონამ შეძლო გამოთავისუფლება, როგორც – გაუცხოებულმა – "მე"-მ? ვპოვებთ კი ასეთ ადგილს, ასეთ ნაბიჯს?

"მხოლოდ დროდადრო, უსიამოვნო იყო მისთვის, რომ თავდაყირა სიარული არ შეეძლო". – აი, ეს არის ის, ლენცი. მე ვფიქრობ, ეს არის ის და – მისი ნაბიჯი, ის და მისი "მეფეს გაუმარჯოს".

"მხოლოდ დროდადრო, უსიამოვნო იყო მისთვის, რომ თავდაყირა სიარული არ შეეძლო".

ვინც თავდაყირა დადის, მას ფეხქვეშ ზეცა უფსკრულად აქვს გადაქცეული.

ქალბატონებო და ბატონებო, ამჟამად მიღებულია თხზულებისთვის "სიბნელის" დაბრალება. – ნება მომეცით, ამ კონტექსტში მოულოდნელად – მაგრამ აქ უეცრად რაღაც არ გამოაშკარავდა? –, ნება მომეცით, პასკალის გამონათქვამს მოვუხმო, გამონათქვამს, რომელიც რამდენიმე ხნის წინ ლევ შესტოვთან<sup>8</sup> ამოვიკითხე: "Ne nous reprochez pas le manque de charté puisque nous en faisons profession!"<sup>9</sup> – ეს არის, ჩემი აზრით, თუ თხზულების თანშობილი არა, თხზულებისთვის – მასთან შეხვედრის სურვილით შესაძლოა მისივე მიერ მონიშნული – რაღაც სიშორიდან ან სიუცხოვიდან მიკუთვნებული სიბნელე.

მაგრამ, შესაძლოა, არსებობს, ერთი და იგივე მიმართულებით, ორმაგი უცხოეთი – ერთმანეთს შეჭდობილი.

ლენცი – ანუ ბიუხნერი – აქ ლუსილზე ერთი ნაბიჯით წინ წავიდა. მისი "მეფეს გაუმარჯოს" სიტყვა აღარ არის, ეს საზარელი დამუნჯებაა, ეს მასაც და ჩვენც სუნთქვას გვიკარავს და მეტყველების უნარს გვაკარგვინებს.

თხზულება: ეს, შესაძლოა, სუნთქვის შემოქცევას ნიშნავდეს. ვინ იცის, იქნებ, თხზულება გზას უკანვე მოიკვალავს – ხელოვნების გზასაც – სწორედ სუნთქვის ასეთი შემოქცევისთვის? შესაძლოა, მას ეს

ხელეწიფება, რადგან უცხოეთი, ანუ უფსკრული და მეღუზას თავი, უფსკრული და ავტომატები, თითქოს ერთი და იგივე მხარეს მოქცეულან, – შესაძლოა, მას აქ ხელეწიფება, ერთმანეთისგან განარჩიოს უცხო და უცხო; შესაძლოა, სწორედ აქ გაცამტვერდეს მეღუზას თავი; შესაძლოა, მწყობრიდან სწორედ აქ გამოვიდნენ ავტომატები – ამ ერთჯერადი უმცირესი წამის განმავლობაში? შესაძლოა, სწორედ აქ მოხდეს და "მე"-სთან ერთად – აქ და ამგვარად გამოთავისუფლებულ გაუცხოებულ "მე"-სთან ერთად, – იქნებ, მოხდეს და კიდევ ერთმა სხვამ მოიპოვოს თავისუფლება?

შესაძლოა, აქედან არის ლექსი ის, რაც არის... და ამიერიდან არის თუ არა შესაძლებელი ამ არა-ხელოვნური, ხელოვნურობისგან-თავისუფალი სახით, მაშასადამე, ხელოვნების გზებით სიარული – კვლავ და კვლავ სიარული?

შესაძლოა.

შესაძლოა, იმის თქმის უფლებაც გვქონდეს, რომ ყველა ლექსს კუთვნილი "20 იანვარი" უზის თარიღად? იქნებ, სწორედ ეს ქმნის იმ ლექსების სიახლეს, რომლებიც დღეს იწერება, სწორედ ეს: რომ აქ უთვალსაჩინოესად არის ნაცადი ასეთი თარიღების ხსოვნის შენახვა?

მაგრამ, განა, ყველა ჩვენგანის ამოსავალი ასეთი თარიღები არ არის? და თავად ჩვენ რომელ თარიღებს მივიწერთ?

მაგრამ ლექსი ხომ მეტყველებს! ის თარიღთა ერთგული რჩება, მაგრამ ის მეტყველებს! რა თქმა უნდა, ის მეტყველებს ყოველთვის მისი საკუთარი, უსაკუთარივესი გარემოებებიდან გამომდინარე.

მაგრამ მე ვფიქრობ – და ეს აზრი ახლა არ გაგაკვირვებთ –, მე ვფიქრობ, რომ ძველთაგანვე ლექსის იმედების რიგიდან არის სწორედ ამგვარი მეტყველება აგრეთვე უცხო – არა, ამ სიტყვით უკვე ვეღარ ვისარგებლებ –, სწორედ ამგვარი მეტყველება სხვის სახელით – ვინ იცის, შესაძლოა, სრულიად სხვის სახელით.

ეს "ვინ იცის", რომელსაც, ვფიქრობ, ახლა მივწვდი, არის ერთადერთი, რაც ჩემი მხრივ შემძლია აგრეთვე დღეს და აქ ძივითვალე უძველეს იმედთა რიცხვს.

შესაძლოა, ასე უნდა ვუთხრა ჩემს თავს, - შესაძლოა, დასაშვები იყოს თუნდაც შეხვედრა ამ "სრულიად სხვისა" - მე აქ ვიყენებ ცნობილ დამხმარე სიტყვას - მეორე არცთუ ერთობ შორეულ, ერთობ ახლობელ "უცხოთან" - კვლავ და კვლავ იყოს დასაშვები.

ლექსი უნჯდება და სასოებით აღივსება - ეს შექმნილ არსებაზე მიმთითებელი გამოთქმა - ასეთი ფიქრების დროს.

ვერავენ იტყვის, სუნთქვითი პაუზა - მოლოდინი და აზრი - რამდენ ხანს გასტანს. "სწრაფმა", რომელიც ყოველთვის "გარეთ" იყო, სისწრაფეს უმატა; ლექსმა ეს იცის; მაგრამ ის მტკიცედ არის ორიენტირებული იმ "სხვაზე", რომელსაც წვდომადის, გამოთავისუფლებულის, იქნებ ვაკანტურისაც, და იმავდროულად მისკენ, ლექსისკენ - ვთქვათ: როგორც ლუსილი - შემოქცეულის სახით მოიაზრებს.

უეჭველია, ლექსი - ლექსი დღესდღეობით - გვიჩვენებს, და ეს, ჩემი აზრით, მხოლოდ ირბად უკავშირდება - არანაკლებ მნიშვნელოვან - სირთულეებს სიტყვების შერჩევისა, სინტაქსის სწრაფი ვარდნისა ან ელიფსის მიმართ ფხიზელი მგრძნობელობისა, - ლექსი გვიჩვენებს, ეს ამკარაა, ძლიერ გადახრას დამუწვებისკენ.

ლექსი თავს იმკვიდრებს - ნება მომეცით, ამდენი ექსტრემალური განსაზღვრების მერე, ერთიც გამოვთქვა -, ლექსი თავს იმკვიდრებს საკუთარი თავის კიდზე; ის უწყვეტად უხმობს და გაიხმობს საკუთარ თავს, რათა დათმენა შეძლოს, საკუთარი "უკვე-მეტად-ალარ"-იდან უკანვე, საკუთარი "ჯერ-კიდევ"-ისკენ.

ეს "ჯერ კიდევ" ხომ, უდავოა, მხოლოდ მეტყველება შეიძლება იყოს. მაშასადამე, არა უბრალოდ ენა და, სავარაუდოდ, არ მომდინარეობს არც სიტყვიდან "შესატყვისობა".

არამედ - აქტუალიზებული ენა, გამოთავისუფლებული თუმცა კი რადიკალური, მაგრამ იმავდროულად მისთვის ენის მიერ გავლებული საზღვრების ნიშნით, მისთვის ენის მიერ გახსნილი შესაძლებლობებით ხსოვნაში შენარჩუნებული ინდივიდუაციის ნიშნით.

ლექსის ეს "ჯერ-კიდევ" შეიძლება დიახაც მხოლოდ იმის ლექსში მოიპოვებოდეს, ვისაც არ ავიწყდება, რომ ის საკუთარი მუნყოფიერების დახრილობის კუთხით, მისი ქმნილებითობის კუთხით მეტყველებს.

მაშინ კი ლექსი შეიძლება იყოს – უფრო მკაფიოდ, ვიდრე აქამდე – ხატადქცეული ენა ერთადერთისა, - და თავისი შინაგანი არსით თანამედროვეობა და თანყოფნა.

ლექსი მარტოსულია. ის მარტოსული და გზადმყოფია. ვინც მას წერს, მასვეა გადაცემული.

მაგრამ განა ლექსი სწორედ ამითვე არ წარმომსდგარა, ანუ სწორედ აქ, შეხვედრაში – შეხვედრის საიდუმლოში?

ლექსს სხვასთან სურს, ის საჭიროებს ამ სხვას, ის საჭიროებს შემხვედრს. ის მას ეძიებს, მას მიაკუთვნებს საკუთარ თავს.

ნებისმიერი საგანი, ნებისმიერი ადამიანი ლექსისთვის, სხვას მიელტვის, ამ სხვის ხატია.

ყურადღება, ნებისმიერი შემხვედრისთვის რომლის მიძღვნასაც ლექსი ცდილობს, მისი მძაფრი მგრძნობელობა დეტალის მიმართ, კონტურის მიმართ, სტრუქტურის მიმართ, ფერის მიმართ, მაგრამ აგრეთვე "შეერთობებისა" და "ნართაულების" მიმართ, ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, არ არის ყოველდღიურ დახვეწას დაქვემდებარებულ აპარატებთან მებრძოლი (თუ თანამებრძოლი) თვალის მონაპოვარი, ეს უფრო ყველა ჩვენი თარიღის ხსოვნის შემნახველად დამრჩენი კონცენტრაციაა.

"ყურადღება" – ნება მომეცით, კაფკაზე ვალტერ ბენიამინის მიერ დაწერილი ეს სედან მალბრანშის ერთი გამონათქვამის ციტირება მოგახდინო: "ყურადღება სულის ბუნებრივი ლოცვაა".

ლექსი იქცევა – რა გარემოებათა ძალით! – ლექსად რაღაც – ჯერაც – აღქმადისა, გამოვლენილისადმი მიპყრობილისა, ეს არის გამოვლენილი დამკითხველთა და გამომლაპარაკებელთა; იგი იქცევა საუბრად – ხშირად იგი უიმედო საუბარია.

მხოლოდ ამ საუბრის სივრცეში აყალიბებს საკუთარ თავს ნასაუბრები, თავს იყრის მასთან გამომლაპარაკებლისა და მისი დამსახველების გარშემო. მაგრამ ამ აწმყოში გამომლაპარაკებელსა და დასახველების გზით თითქოსდა "შენ"-ად ქცეულს თან მოაქვს თავისი სხვადაყოფნა. სწორედ ლექსის "აქ"-სა და "ახლა"-ში – თავად ლექსს ხომ ყოველთვის მხოლოდ ეს ერთი, ერთჯერადი, პუნქტუალური აწმყო გააჩნია –, სწორედ

ამ უშუალობასა და სიახლოვეში უსაკუთრივესზე თანამოსაუბრედ ყოფნის უფლებას აძლევს იგი მას, სხვას: მის დროს.

ჩვენც ყოველთვის, როცა საგნებთან ამგვარად ვსაუბრობთ, მათი "საიდან"-ისა და "საითკენ"-ის შესახებ კითხვებთან ვიმყოფებით: "ლიად-დარჩენილ", "დასასრულამდე ვერმისულ", ღიაობისკენ და სიცარიელისკენ და თავისუფლებისკენ დამკვალიანებელ კითხვებთან – ჩვენ ერთობ გარეთ ვართ.

მე ვფიქრობ, ლექსი ამ ადგილსაც ეძებს.

ლექსი?

ლექსი თავისი სურათ-ხატებითა და ტროპებით?

ქალბატონებო და ბატონებო, მანინც რაზე ვლაპარაკობ, როცა ამ მიმართულებიდან, ამ მიმართულებით, ამ სიტყვებით ლექსზე – არა, ლექსის შესახებ ვლაპარაკობ?

მე ხომ იმ ლექსის შესახებ ვლაპარაკობ, რომელიც არ არსებობს!

აბსოლუტური ლექსი – არა, ასეთი რამ მართლაც არ არსებობს, ასეთი რამ შეუძლებელია არსებობდეს!

მაგრამ დიახაც არსებობს, ნებისმიერი ნამდვილი ლექსის შემთხვევაში, არსებობს, უპრეტენზიო ლექსის შემთხვევაში, ეს უცილობელი შეკითხვა, ეს გაუგონარი პრეტენზია.

მაგრამ რანი არიან სურათ-ხატნი?

ერთხელ, კვლავ და კვლავ ერთხელ და და მხოლოდ ახლა და მხოლოდ აქ აღქმადი და აღმქმელი. ხოლო ლექსი ის ადგილია, სადაც ყველა ტროპს და მეტაფორას სურს, მიყვანილ იქნას აბსურდამდე.

ტოპოსის კვლევა?

რა თქმა უნდა! მაგრამ გამოსაკვლევის შუქზე: უ-ტოპიის შუქზე.

ხოლო ადამიანი? და შესაქმის ნაყოფი?

ამ შუქზე.

რა შეკითხვებია! რა მოთხოვნებია!

დროა, უკუქცევის.

ქალბატონებო და ბატონებო, უკვე დასასრულს მივუახლოვდი – ისევ დასაწყისს დავუბრუნდი.

Elargissez l'Art! ეს შეკითხვა, თავისი ძველი თუ ახალი საშინელებებით, კვლავ აქტუალური ხდება ჩვენთვის. მე ამ შეკითხვით ვეწვიე ბიუნენერს – დარწმუნებული ვარ, რომ იქ მას ისევ მივაგენი.

მე პასუხიც მზად მქონდა, "ლუსინიანური" ანტიისტიყვა, მსურდა რაღაცით დავპირისპირებოდი, ჩემი წინააღმდეგობით არსებული ვყოფილიყავი:

ხელოვნების განვრცობა?

არა. არამედ გაემართე ხელოვნებასთან ერთად შენი უსაკუთრივესი სივიწროვისკენ. და გამოთავისუფლდი.

მე, აქაც, თქვენი თანხლებით, ეს გზა განვვლე. ეს წრე იყო.

ხელოვნება, ანუ მედუზას თავიც, მექანიზმიც, ავტომატებიც, საშინელი და ასე ძნელად გამოსარჩევი, საბოლოო ჯამში. იქნებ რაღაც სიუცხოვეა და მეტი არაფერი – ხელოვნება აგრძელებს სიცოცხლეს.

ორჯერ, ლუსილის "მეფეს გაუმარჯოს" როცა ითქვა, და – ასევე – როცა ლენცისთვის ზეცა უფსკრულად განიხვნა, მომეჩვენა, რომ იქ სუნთქვის შემოქცევა იყო. იქნებ, მაშინაც, როცა იმ სიშორის და დაპყრობადის მოხელეთებს ვცდილობდი, რომელიც, ბოლოსდაბოლოს, მაინც ლუსილის ხატად იქცა ხილვადი. და ერთხელ ჩვენც, საგნებისა და ქმნილებებისადმი ბოძებული ყურადღების ძალით, ვეზიარეთ ღიასა და თავისუფლის სიახლოვეს. ბოლოსდაბოლოს კი – უტოპიის სიახლოვეს.

თხზულება, ქალბატონებო და ბატონებო –: ეს დაუსრულებელი მეტყველებაა ხმამაღალ მოკვდავობასა და ამაოებაზე!

ქალბატონებო და ბატონებო, ნება მომეცით, რაკილა ისევ დასაწყისთან ვარ, კიდევ ერთხელ, რაც შეიძლება მოკლედ და სხვა კუთხით, იგივეს შესახებ დავსვა კითხვა.

ქალბატონებო და ბატონებო, რამდენიმე წლის წინ ერთი მოკლე ოთხსტრიქონელი დავწერე – აი, ეს:

"ხმები, მოსული ჭინჭრიანიდან: / მოინახულე ჩვენი ხელები. / ლამპართან ერთად მარტო ვინც არის, / მას ხელი შერჩა, ამოსაკითხად."



და ერთი წლის წინ, ენგაღინში არშემდგარი ერთი შეხვედრის სახსოვრად, ქალაქზე გადავიტანე პატარა მოთხრობა, რომელშიც ადამიანი, "როგორც ლენცი", მთებში გაგვზავნე.

ერთხელაც და მეორედაც, მე "20 იანვრის", ჩემი "20 იანვრის" ხსოვნით ვწერდი.

მე... ჩემივე თავს შევხვდი.

მაშასადამე, როცა ლექსებზე ფიქრობ, ლექსებთან ერთად ასეთ გზებს ადგახარ? ხომ არ არის ეს გზები შემოვლითი-გზები, შემოვლითი გზები შენგან და შენკენ? მაგრამ ეს არის, იმავდროულად, აგრეთვე გზები, ბევრ სხვა გზას შორის, რომლებზეც ენა ხმოვანი ხდება, ეს არის შეხვედრები, ხმის გზებია აღმქმელი შენ-ისკენ, შენამოქმედთა გზებია, იქნებ სულაც მუნყოფიერების მონახაზებია, საკუთარი თავისკენ საკუთარი არსებობის გაგზავნაა, საკუთარი თავის საძიებლად... ერთგვარი შინდაბრუნება.

ქალბატონებო და ბატონებო, მე ვუახლოვდები დასასრულს – მე, სიმწვავის ნიშნით, რომელზეც გავამახვილე აქცენტი, ვუახლოვდები... "ლეონსის და ლენას" დასასრულს.

და აქ, ამ თხზულების ბოლო ორ სიტყვაზე, საგანგებოდ უნდა გავამახვილო ყურადღება.

უნდა გავფრთხილდე, როგორც ოთხმოცდაერთი წლის წინ ფრანკ-ფურტის მაინში, ზაუერლენდერის გამომცემლობაში გამოცემული "გეორგ ბიუნხერის თხზულებათა და დანატოვარ ხელნაწერთა პირველი სრული კრიტიკული გამოცემის" გამომცემელი, კარლ ემილ ფრანცოზი, - მე უნდა გავფრთხილდე, როგორც აქ ხელახლა აღმოჩენილი ჩემი თანამემამულე კარლ ემილ ფრანცოზი, რომ "Commode", რომელიც ახლა გამოიყენება, არ წავიკითხო, როგორც "Komendes"!

და მაინც: სწორედ "ლეონსა და ლენაში" არ არის სიტყვებს შედიმებული გრამატიკული ბრჭყალები, რომელსაც სურს გამოიყურებოდეს არა როგორც "ბატის ფრჩხილები", არამედ – როგორც "კურდღლის ყურები", ანუ – რაღაც ისეთი, რაც სულაც არა უშიშრად არის მიყუ-

რადებული საკუთარ თავსაც და სიტყვებსაც?

აი, აქედან, ანუ "Commoden"-იდან, მაგრამ ასევე – უტოპიის შუქზე, ვიწყებ – ამჯერად – ტოპოსის კვლევას:

მე ვებებ ადგილს, საიდანაც მოდიან რაინჰოლდ ლენცი და კარლ ემილ ფრანცოზი, რომლებიც გადამეყარნენ აქეთ მომავალს და – გეორგ ბიუნხერთან. გარდა ამისა, რაკი მე ისევ აქ ვარ, სადაც დავიწყე, ვებებ ჩემი საკუთარი წარმომავლობის ადგილს.

ამ ყველაფერს ვებებ გეოგრაფიულ რუკაზე თითის არაზუსტი, რამეთუ აფორიაქებული, მოძრაობით – საბავშვო გეოგრაფიულ რუკაზე, რაშიც ახლავე უნდა გამოგიტყდეთ.

არც ერთი ეს ადგილი არ იებნება, ისინი არ არსებობს, მაგრამ მე ვიცი, სად უნდა იყოს ისინი, განსაკუთრებით სწორედ ახლა, და... მე რაღაცას ვაგნებ!

ქალბატონებო და ბატონებო, მე ვაგნებ რაღაცას, რაც ცოტაოდენ ნუგეშმაც მგერის, იმასთან დაკავშირებულს, რომ თქვენი თანხლებით განვვლე ეს შეუძლებელი გზა, შეუძლებლის ეს გზა.

მე ვაგნებ დამაკავშირებელს და შეხვედრისკენ ლექსივით ჩემს მეგზურს.

მე ვაგნებ რაღაცას – ენასავით – იმატერიალურს, მაგრამ მიწიერს, მიწისეულს, რაღაც წრიულს, ორივე პოლუსით საკუთარ თავში უკუმქცევს და იმავდროულად – სასიხარულოდ – ტროპების გადამკვეთს –: მე ვაგნებ... მერიდიანს.

თქვენთან და გეორგ ბიუნხერთან და ჰესენის მიწასთან ერთად მე მას, დარწმუნებული ვარ, ისევ შევეხე.

## მთარგმნელის შენიშვნები

<sup>1</sup> Conciergerie ეს სიტყვა კარისკაცის ოთახსაც ნიშნავს და პარიზის ციხესაც. საფრანგეთის რევოლუციის დროს ამ ციხეში ამწყვედებდნენ სიკვდილმისჯილებს.

<sup>2</sup> მორიც ჰაიმანი (1869-1925), ებრაული წარმოშობის გერმანელი მწერალი და კრიტიკოსი.

<sup>3</sup> ვალერიო პერსონაჟია ბიუხნერის "ლეონსი და ლენა"-დან. ცელანის ეს სამადლობელი სიტყვა თავიდან ბოლომდე ბიუხნერის ნაწარმოებებს და მის პერსონაჟებს "ეთამაშება", ამიტომ ტექსტის სრულფასოვნად აღქმა ბიუხნერის ტექსტების წაკითხვად წარმოუდგენელია.

<sup>4</sup> ancien régime ანუ ძველი რეჟიმი, ძველი წყობა (ფრანგ.)

<sup>5</sup> რაინჰოლდ ლენცი (1751-1792), გერმანელი მწერალი, გოეთეს უახლოესი მეგობარი და გოეთესავე მიერ გაურკვეველი მიზეზებით მოკვეთილი ვაიმარიდან მას მერე, რაც ახალგაზრდა მწერლის ნერვული აშლილობის შედეგები საზოგადოებაში რამდენჯერმე დაფიქსირდა. აპოპლექსიური შეტევით გარდაიცვალა მოსკოვში, სადაც დიდხანს ცხოვრობდა რუსი თავადების გარემოცვაში.

<sup>6</sup> "გააფართოვეთ ხელოვნება" (ფრანგ.)

<sup>7</sup> "ისიც, პოეზიაც, ჩაუქროლებს ხოლმე ჩვენს ნაბიჯებს" (ფრანგ.)

<sup>8</sup> ლევ შესტოვი (1866-1938), ებრაული წარმოშობის რუსი ფილოსოფოსი.

<sup>9</sup> "ბრალს ნუ დავგვებთ გამჭვირვალების ნაკლებობაში, რადგან ეს ჩვენი პროფესიაა!" (ფრანგ.)

<sup>10</sup> Commodes – მყუდრო, უბრალო, მსუბუქი (ფრანგ.), Kommendes – მერმისი, მომავალი (გერმ.). ალუზია "ლეონსის და ლენას" ფინალზე.

<sup>11</sup> "ბატის ფრჩხილები" და "კურდღლის ყურები", ასეც უწოდებენ გერმანულად გრამატიკული ბრჭყალების აღმნიშვნელ ნიშნებს.

## შინაარსი

პაულ ცელანი

ლექსები

თარგმნა დათო ბარბაქაძემ

ძვიზა ურნებიდან (1948)

შავი ფიფქები

ყაყარო და მისნიერება (1952)

ამოდ ხატავ სარკმელზე გულებს...  
მარიანა  
ქონის სანთელი  
დრო-ჟამით ხელებმოვსებუდი...  
შუაღამე  
თეთრად მოგიჩანს ბნელში ტანი, ხეო ვერხვისა...  
ქვიშა ურნებიდან  
ღრჭიალი რკინის ქალამნებისა...  
ბნელი თვალი სექტემბერში  
ქვა ზღვიდან  
საფრანგეთის გახსენება  
შეჩრდილული ქალბატონის სიმღერა  
ელვა ღამისა  
წელიწადები შენით ჩემამდე  
სიშორის ქება  
მთელი ცხოვრება  
გვიან და ღრმად  
Corona  
სიკვდილის ფუტა  
ყარიბობისას  
ეგვიპტეში  
ნებელჰორნში  
სილურჯეს, ჯერაც მისი თვალის მაძიებელს...  
ვინც, შენსავით და ყველა მტრედივით...  
ცეცხლის ნაჭდევი  
ვინც გულს მკერდიდან ღამისაკენ აასწრაფებს...

ბროლი  
სუღარა  
ღია ზღვაში  
მარტო ვარ, მწიფე სიშავბნელით სავსე ჭიქაში...  
ტოლჩები  
ყოველთვის-სა და არასდროს-ს შორის...  
ასე ვიძინებ, ხოლო თვალი მრჩება ფხიზელი...  
ისე შეცვლილხარ, სხვა ხარ ისეთი...  
საიმედო ცინესიმაგრე  
წამოიშალა უთეთრესად მტრედების გუნდი...  
ძილი და საკვები  
თანამგზავრი  
თვალები...  
მარადისობა  
ზვირთცემა  
გულებიდან და თავებიდან...  
დაუცხრომელო გულო, ვისთვისაც...  
თითქოს ვარცხნიდეს ქალის ცხედარს...  
რაკი, სიტყვებით დაბრმავებული...  
ლანდშაფტი  
სინუმევი!  
წყალი და ცეცხლი  
დათვალე ნუში...

### **ზღურბლიდან ზღურბლაშენ (1955)**

მსმენოდა  
ნაჯახებით მოთამაშე  
ტანად სახული  
ასიზელი  
ცვალებადი გასაღებით  
აქ  
ნატურმორტი  
და მშვენიერი  
ტყიანი  
მწუხრი სიტყვათა  
ფერდობი  
ვიცი

მინდვრები  
ხსოვნა  
ღამით დაბერილი  
პოლ ელუარის სახსოვარი  
შიბოლეთი  
ჩვენ გხედავთ  
კენოტაფი  
თქვი შენც  
ჟამწითელი ტუჩებით  
Argumentum e Silentio  
მევენახენი

### **ენის ბისოსები (1959)**

TENEBRAE  
ყვაილი  
სითეთრე და სიმსუბუქე  
თოვლის საწოლი  
ღამე  
ხელი  
ღანდშაფტის ჩანახატი  
ვიწროდწარმართვა

### **არაჰინჰარდი (1963)**

მიწა ჰგებდა მათში, და...  
სიტყვა შესახებ სიღრმის-კენ-სვლისა...  
ღვინოს და გაუჩინარებას, ამ...  
ციურიხი, კაფე “ყარყატი”  
სამიდან მესამე, ოთხიდან მეოთხე  
მერე რამდენი ვარსკვლავითი...  
შენი...  
ორივ ხელისკენ, მეზრდებოდნენ...  
თორმეტი წელი  
გავედი ყველა ჩემი ფიქრით...  
შემოდგომის უტყვი სუნები...  
ფსალმუნი  
ტიუბინგენი, იანვარი  
ქიმიური

მანათობელი ხე  
კაჭარი  
ეს...  
MANDORLA  
არავისად მიკრული ლოყით...  
ნათელნი...  
ანაბაზისი  
სატყორცნი ჯოხი, სუნთქვის გზებზე...  
დღისით

### **სუნთქვის უმოქცევა (1967)**

უფლება გაქვს, თოვლით...  
არდასიზმრულის მიერ ნადეენი...  
კარის დრეწოში...  
მდინარეებში ჩრდილოეთით მერმისისა...  
შენი გვიანი სახის წინაშე...  
დარდსწრაფნი განმჭოლ...  
რიცხვები, წნული...  
სავალნი შენი ხელის მტევენის...  
იღგე, ჩრდილში...  
სიფხიზლის მიერ დაჩხვერილი შენი სიზმარი...  
მზეები ძაფთა...  
სიტყვის ნატანი, ვულკანური...  
გზამოშანთული...  
ნავსადგური  
COAGULA  
პასექის კვამლი, მალდამსრბოლი, შიგან ნაგზევი...  
ქუხილი: თავად...  
ლიხტენბერგისგან ნამემკვიდრევი...  
Give The Word  
ერთხელ...

### **კაჟის მზემბი (1968)**

მომოხმაურში, მსგავსად ჩენი დასაწყისისა...  
Lyon, Les Archers  
შენ იყავი ჩემი სიკვდილი...  
ირლანდიური

ნამი. ხოლო მე შენთან ვიწეკ, შენ, ნაგავში...  
ძალაუფლების, ძლიერების სამეფოში...

### **სინათლის იპულება (1970)**

მიაჭენებდა ღამე, ის კი გონს მოსულიყო...  
ჩემში თავს როგორ გადაიშენებ...  
მე ჯერაც ძალმძის შენი დანახვა: ექოსი...  
მარადისობებს მის სახეში...  
დამშვიდობებითდაფოთლილი ირლანდიელი...  
დამდგარი წელი...

### **დანართი**

პაულ ცელანი. მერიდიანი  
*თარგმნა ირაკლი გოგიაძე*